სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის № 221 შაბათი, აპრილის 14 (27) 1918 წ. № 221

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ორი დღის წინად ახალი მთავრობიდან წავიდნენ დაშნაკცუთიუნის წარმომადგენლები: გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე მთავრობამ ოფიციალურად გვაცნობა, რომ წასული მინისტრები მთავრობაში დაბრუნდნენ.—შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ ბოლშევიკებს აჯიქაბულიდან ბაქოსკენ დაახევინეს.—ოსმალოებმა ჯარს ჩრდილოეთით მოუარეს და ჯარის შარა გზამდე მოვიდნენ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადების ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მანე., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეულ „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდილი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაბლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Саккмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ადრ: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

გულდათუთქულნი და გაუბედურებულნი ვარდენ გიორგის ძე ყიფიანი (ლვანკითელი), ელისაბედ ქაიხოსროს ასული ყიფიანისა და თამარ დიმიტრი წერეთლის ასული ყიფიანისა აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს პირველი უძვირფასესი ძმის, მეორე საყვარელი მეუღლის და მესამე უძვირფასესი მაზლის

კარპეზ გიორგის ძე ყიფიანის

ვერაგულად მოკვლას სოფელ ლვანკითში. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 433-2

მარიამ ყარამანის ასული იაშვილისა ქმრითა და შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას ნაშუადღევის პირველ საათზე წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე პანაშვიდი საყვარელი და დაუვიწყარის ძმის ნაფლეთი ვექილის

ნიკოლოზ ყარამანის ძის ყანჩელის

სულის მოსახსენებლად. 434-2

დამწუხარებული მშობლები გრიგოლ და ბარბარე, ძმები პეტრე და გიორგი და მარიამი აუწყებენ მოკეთეთა და მეგობართ, რომ ხანმოკლე, ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი შვილი, ხოლო მეორეთა და ექიმი

სოფიო მამრაძე

პანაშვიდი დღეს იქნება ნაშუადღევის 2 საათზე, ვერის დაღმართი ს ხლი № 5, ბინა № 5 430

11 აპრილს უდროოდ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების გულწრფელი მომხრე და მეგობარი ექიმი

სოფიო მამრაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ „განათლების" საზოგადოების გამგეობა, ამავე საზოგადოების ქალთა სამასწავლო სემინარიის და სამხატვრო სახელოსნო სკოლის პედაგოგიური კორპორაციები და მოწაფეები. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა 15 აპრილს, დილის 9 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან (ვერის დაღმართი 5) 4372

განცხადება ქ. გორის ოქონის მიძინების ეკლესიის კრებული ამით აცხადებს, რომ 15 აპრილს, ბზობა დღეს, წირვის შემდეგ, დღის 12 საათზედ დანიშნულია არჩევნები ამ ეკლესიის მნათისა. ამისათვის სთხოვს პატივცემულ მრევლს მობრძანდნენ გორის ოქონის ეკლესიაში არჩევნების მოსახდენად. 435

ქართული კლუბი

დღეს, შაბათს 14 აპრილს გაიმართება

ერთული მეორეს გასამართლება

სასამართლოს

თავმჯდომარე ჯ. [illegible].
წევრნი) იგ. ჩერქეზიშვილი.) პ. ქავთარაძე.
ბრალმდებელი) 1. მოსე ჯანაშვილი.) 2. ირაკლი ამირეჯიბი.
დამცველნი) ივანე გომართელი.) გრიგოლ ვეშაპელი.
[illegible] შალვა დადიანი.

ნაფიცნი მსაჯულნი:

ვალ. გუნია, რ. გაბაშვილი, იპ. ვართაგავა, რ. ინგილო, ექ. თაყაიშვილი, გრ. რობაქიძე, პ. ინგოროყვა, დ. კარიჭაშვილი, გ. ქიქოძე, ტ. კასრაძე, კ. მაყაშვილი, დ. ჯავახიშვილი. სასამართლოს მდივანი მ. ხერხეულიძე.

საზოგადოებიდან გასამართლებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წინასწარ უნდა განუცხადონ სასამართლოს მდივანს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1145 ბილეთები იყიდება კასაში.

ქართული კლუბი

კვირას, 15 აპრილს, 1918 წ.

სადღესასწაულო წარმოდგენა

ვ. ა. აბაშიძის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

გაიმართება ორი წარმოდგენა

დილით **პეპო** კომედია 3 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა. | საღამოთი **ნამუსისათვის** პიესა 4 მოქ. შირვანზადესი.

მონაწილეობენ ძველი და ახალგაზრდა მსახიობნი. პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და ქ. შათირიშვილი. ◆ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

ქართული დრამატიული საზოგადოება

ყველა იმათ, ვინც ჩაეწერნენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალ დასში, განურჩევლად იმისა მიიღეს თუ არა დასაპატიჟებელი ბარათები, ვთხოვთ მობრძანდნენ ზუბალაშვილის სახალხო სახლის თეატრში, შაბათს 14 აპრილს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. ვინც ამ დროისთვის არ გამოცხადდება, იმათ გამოსაცდელი წარმოდგენა არ დაენიშნებათ.

1138 ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო. საკუთ. ახლად შენობ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 14 აპრილს გაიმართება

ორკესტრის ბენეფისი

დღეს ორკესტრი მთელი შემადგენლობით შეასრულებს საკონცერტო განყოფილებას. გაიმართება „ამერიკული აუქციონი", „ეშმაკის ხიდი", „იაპონური წისქვილი. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი 8 საათზე. დასასრული 11 საათზე.

ანონსი: კვირას 15 აპრილს გაიმართება 2 სადღესასწაულო წარმოდგენა დილით „ბავშვების დილა". 438

ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსის

განცხადება

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კერძო ავტომობილების პატრონები, რომელნიც ტფილისიდან კაჯაკავში დადიან და წინაუკმო, ვალდებული არიან ყოველთვის გამგზავრების წინ წაიღონ ტფილისის ფოსტიდან ტომარა წერილებით და გაზეთებით კაჯაკავის ფოსტაში მისატანად.

ის ავტომობილები, რომელნიც არ ემორჩილებიან ამ განკარგულებას, არ იქმნებიან გაშვებული საქართველოს სამხედრო გზით. ასევე მოეპყრობიან კაჯაკავიდან მომავალ ავტომობილებს.

ავტომობილისათვის გადასაცემი ტომარა ტფილისის საფოსტო სადგურის პირდაპირ იქნება, ოლღას ქუჩაზე.

თუ იმ ავტომობილების შემდეგ, რომელნიც კორესპონდენციას წაიღებენ, იმავე დღეს სხვა ავტომობილებით გაემგზავრებიან კაჯაკავში, უკანასკნელებს დაუბრკოლებლივ გაუშვებენ.

ეს დადგენილება უთუოდ უნდა იქმნას შესრულებული 15 აპრილიდან.

მილიციის უფროსის მაგივრად პაგლიევი. 1146

განცხადება

მიწადმოქმედების მინისტრის კანცელარია აცხადებს, რომ 18 მარტს, შუადღის 12 საათზე, ბაკურიანის ფერმაში, რომელიც ხის ჯვარში იმყოფება, დანიშნულია კარგი ჯიშის ჯოგის გაყიდვა, რომელიც ბორჯომის სახელ. ეროვნულ მამულს ეკუთვნის. ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული:

1. № 100—ვარია	450 მ.	11. № 162—სერნა	300 მ.
2. № 9—ლასკა	400 „	12. № 15—ლიხდა	350 „
3. № 147—ფილმა	450 „	13. № 102—ლიუბოჩკა	300 „
4. № 114—სენტა	450 „	14. № 104—ლეონორა	350 „
5. № 123—აზრა	350 „	15. № 97—პიონერკა	400 „
6. № 95—რახილ	300 „	16. № 86—ჩებერიაჩკა	300 „
7. № 16—კიტაიანკა	450 „	17. № 35—„ნევრიტიონკა"	450 „
8. № 44—ლან.	600 „	18. № 159—თამარ	350 „
9. № 118 ტიპორა	300 „	19. № 106—ძალა	350 „
10. № 31—„რიცენკა"	300 „	20. № 32—[illegible]	600 „

ამათ გარდა იყიდება 5 ხბო და ერთი მოზვერი (10 თვის—1 წლ.) დაფასებულია 200 მ. თითო. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს ნახევარი საფასური ვაჭრობის გათავებისას უნდა შემოიტანოს დაუყოვნებლივ, ხოლო დარჩენილი ნახევარი 3 დღის შემდეგ. ნაყიდი საქონელი, ვალდებულია წაიღოს 3 დღის განმავლობაში დღიდან ვაჭრობის წარმოებისა. თუ მყიდველი დაარღვევს ზემო აღნიშნულ პირობებს, ვაჭრობაც დარღვეულია და შეტანილი ფული ხაზინას გადაეცემა.

ვაჭრობას აწარმოებს ბორჯომის მამულები კომისიის თავმჯდომარე

1141 ზ. იოსელიანი.

ტფილისი, 14 აპრილი 1918 წ.

მთავრობის კრიზისის გამო.

ჯერ აკაკი ჩხენკელის მთავრობას თავისი პროგრამა არც კი გამოუქვეყნებია და უკვე ხმა გაისმა, მთავრობის კრიზისიაო. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მტრებმა ისარგებლეს ამ ხმებით და შეეცადნენ გაეღრმავებინათ ის უთანხმოება: რომელიც შეიძლებოდა დაბადებულიყო მთავრობის წრეებში. გონიერებამ ამ შემთხვევაშიაც სძლია ამიერკავკასიის თავისუფლების მტრებს და აკაკი ჩხენკელის მთავრობა არ დაირღვა. ჩვენ ამ გარემოებას მაინცა და მაინც დიდის იმედით არ შევსცქერით. საუბედუროდ ბევრია ამიერკავკასიაში პროვოკატორი, რომელიც ცდილობს დაარღვიოს ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობა და შეუძლებელი გახადოს ძმური თანამშრომლობა ამიერკავკასიის ერებისა. საუბედუროდ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, რომელიც ცდილობს შუღლი ჩამოაგდოს ქართველ, სომეხ, თათართა შორის და გადაჰკიდოს ერთმანეთს ქართველები და სომხები და ეს ორივენი კი თათრებს. მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით მშვიდობიანობის შენარჩუნება ამიერკავკასიაში მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც ძლიერი იქნება ამიერკავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატია. საკმარისია ერთი რომელიმე ერი გამოეყოს ამიერკავკასიის ერთა საერთო ოჯახს, რომ ჩვენი ქვეყანა საშინელი ეროვნული შლეტის ასპარეზად გადაიქცეს. ასეთი გამოყოფა კატასტროფა იქნება ამიერკავკასიის დემოკრატიისთვის და ამიტომ ყოველი შეგნებული დემოკრატი, ყოველი შეგნებული სოციალისტი და რევოლუციონერი მოვალეა დაიცვას ის ორგანო, რომელიც ასე თუ ისე დღეს ამიერკავკასიის ერებს აერთიანებს—დაიცვას სეიმი. სეიმის დარღვევა, სეიმიდან წასვლა რომელიმე ერის წარმომადგენლებისა ღალატი იქნება ამიერკავკასიის დემოკრატიის წინაშე და ვინც ამას ჩაიდენს, იმან უნდა ზიდოს მთელი პასუხისმგებლობა იმ ეროვნული ხოცვა-ჟლეტისა და დემოკრატიის დამარცხებისა, რომელიც აუცილებლად მოჰყვება ამიერკავკასიის საერთო სახელმწიფოებრივ სეიმს.

ჩვენ ეხლანდელი სეიმის პრინციპიალური მომხრენი არა ვართ, ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით და ეხლაც მტკიცედ ვდგევართ იმ აზრს, რომ საჭიროა რეკონსტრუქცია სეიმისა, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ შედეგს პარლამენტარულის გზით მივაღწიოთ და არა აჯანყების საშუალებით.

მაგრამ ასე არ იქცევიან ამიერკავკასიის ერთა მეგობრები, ისინი, პირიქით, ცდილობენ გააღრმავონ ერთა შორის არსებული ზოგიერთი უთანხმოებანი და ამ მიზნის მისაღწევად პროვოკაციასაც კი არ ერიდებიან, სწორედ ასეთი ვ-ჟ პატონები ცდილობენ გათიშვის შეტანას ამიერ-კავკასიის ინტერნაციონალურ დემოკრატიაში ტყუილად კი არა სწერდა რუსული ვითომდა სოციალისტური გაზეთი „ზნამია ტრუდა", რომლის წინააღმდეგაც უკვე ისმის პროტესტის ხმა მრავალი ჭეშმარიტი რუსი სოციალისტისა, ჩვენს გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა მოწინააღმდეგე სეიმისა, განურჩევლად მიმართულებისაო. რას ნიშნავს ეს? ეს იმასა ნიშნავს, რომ „ზნამია ტრუდა"-ს გარშემო უნდა შემოკრბენ ბოლგანებიც, შავ-რაზმელებიც, რეაქციონერებიც, ბოლშევიკებიც,—ერთის სიტყვით ყველა, ვინც წინააღმდეგია სეიმისა, ესე იგი იმ დაწესებულებისა, სადაც უნდა ჩაეყაროს საფუძველი ამიერკავკასიის ერთა ძმურ თანამშრომლობისა და სადავო საკითხების პარლამენტარული გზით გადაჭრისა. ამნაირ გზას მხოლოდ პროვოკატორები ადგებიან ხოლმე და ჩვენც, ღრმა შეგნებით იმისა, რომ სინამდვილეს არა ვღალატობთ, „ზნამია ტრუდა"-ს პროვოკატორების გაზეთს ვუწოდებთ.

მთავრობის კრიზისის ლიკვიდაცია მოჰხდა და ეს სავსებით დემოკრატიის სიმტკიცეს უნდა მიეწეროს. შემდეგშიაც პროვოკატორული გამოსვლები შეიძლება აილაგმოს მხოლოდ დემოკრატიის სიძლიერით და ჩვენც მოვუწოდებთ ამიერკავკასიის ინტერნაციონალურ დემოკრატიას მტკიცე დარაჯად დაუდგეს ამიერკავკასიის ერთა ეროვნულ მყუდროებასა და სიმშვიდეს, რომლის დარღვევასაც ცდილობენ რუსის შავ-რაზმელები და კონტრ-რევოლუციონერები.

სომხების ქანაობა.

როდესაც სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამ განცხადებას „დაშნაკცუთიუნის" პარტიაც მიემხრო, ჩვენ ამას სიამოვნებით შევხვდით და აღვნიშნეთ კიდეც, რომ ეს გარდაწყვეტილება სომხური პარტიისა უტყუარი ნიშანია იმისა, თუ რამდენად შეგნებული აქვს სომხური პოლიტიკის ხელმძღვანელ პარტიას სიმწვავე ეხლანდელი მდგომარეობისა. მაგრამ გამოცხადების მეორე დღესვე „დაშნაკცუთიუნის" პარტიის წარმომადგენლებმა ისეთი ნაბიჯი გადასდგეს, რომელიც უდრის არა მარტო ერთხმად მიღებული კურსის ღალატს, არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ წარმოებულ პროვოკაციასაც. მიზეზად ასახელებენ რომელიღაც სამხედრო ხასიათის ნაბიჯს, რომელიც ჩხენკელს გადაუდგამს. ჩვენ არ ვიცით, რა ნაბიჯია ეს ნაბიჯი, მაგრამ ერთი კი თამამად შეიძლება ითქვას: ეს ნაბიჯი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, რომელიც ლოღიკურად არ გამომდინარეობს სეიმის მიერ მიღებული კურსიდან. რომ ამ ნაბიჯს მაინცა და მაინც დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ „დაშნაკცუთიუნის" პარტია დათანხმებულა დარჩეს კაბინეტში, თუ მას შეადგენს არა აკაკი ჩხენკელი, არამედ სხვა ვინმე. ეს უკვე ფრიად გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯია, ნაბიჯი, მიმართული აკაკი ჩხენკელის წინააღმდეგ. აკაკი ჩხენკელი ის სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც კურსი შეუცვალა ამიერკავკასიის პოლიტიკას. ერთხელ მიღებული კურსი თავის ლოღიკურ შედეგებს იწვევს და აკაკი ჩხენკელიც ამ შედეგებს არ უშინდება. იგი პირდაპირ და უყოყმანოდ მიდის დასმული მიზნისკენ. როდესაც „დაშნაკცუთიუნის" პარტია აკაკი ჩხენკელის წინააღმდეგ ილაშქრებს, ამით მას ჰსურს ამიერკავკასიის პოლიტიკა კვლავ სრული გამოურკვევლობისა და ქანაობის მორევში ჩაახრჩოს, რათა, თუ თავის მიზნებს ვერ მიაღწევს, ვერც სხვამ მოახერხოს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ამ პოლიტიკაში, გამოურკვევლობისა და ქანაობის პოლიტიკაში, უკვე გამოჩნდა სული ძველი, გამაქრალი პოლიტიკოსის ხატისოვისა. დრო კი ისეთი არ არის, რომ ქანაობა შეიძლებოდეს. ყოველს წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ეხლაც დაგვიანებულია; თუ ჩვენი ახალი მთავრობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე რიყეზისა და ქანაობის მსხვერპლი გახდა, იგი ვერავი-

თარ შედეგს ვერ მიაღწევს და ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური ქარცეცხლისა და ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნება.

მთელი ქვეყნის სახელმწიფოებს უკვე ეცნობა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. „დაშნაკცუთუნის" პარტია პოლიტიკური ბავშვების პარტია არ არის, რომ არ ესმოდეს, რასა ნიშნავს ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ჩვენ გვგონია, რომ, როდესაც იგი განსაზღვრულ ნაბიჯსა სდგამდა, მშვენიერად ჰქონდა გათვალისწინებული ყველა შედეგები ამ ნაბიჯებისა. და თუ, ამისდამიუხედავად, იგი, მას შემდეგ, რაც ამბავი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა მთელს ქვეყანას ეცნობა, მაინც ზურგიდან მახვილს არტყამს ამ დამოუკიდებლობას, ჩვენ არ შეგვიძლიან ამ ნაბიჯს ღალატი და პროვოკაცია არ ვუწოდოთ.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ვერ იარსებებს, ჩვენი სახელმწიფოებრივობა ქვიშაზე იქნება აგებული, თუ ნამდვილი სოლიდარობა არ დამყარდა ამიერკავკასიის ერთა შორის. ჩვენ მთელის ჩვენის არსებით გვინდა თავიდან ავაცილოთ ამიერკავკასიას თითქმის აუცილებელი ეროვნული ქლეტა და ერთმანეთის ამოხოცვა ამიერკავკასიის ერების მიერ. ამ ქლეტის აცილება მხოლოდ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას შეუძლიან, იმ საერთო ინტერესს, რომელიც ჩაქსოვილია ამიერკავკასიის სახელმწიფოებრიობის იდეაში.

თუ სომხები ამ გზით არ წამოვიდნენ, თუ მათ ისევ რყევა და ყოყმანი დაიწყეს, მაშინ სამუდამოდ დაირღვევა ის მთლიანობა, რომელიც უზრუნველჰყოფს ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობას. მაშინ ქართველი ხალხი იძულებული გაჰხდება თავისი დამოუკიდებელი გზით წავიდეს; უეჭველია, ასევე მოიქცევა ადერბეიჯანი და მაშინ მთელი პასუხისმგებლობა თავისი ერის წინაშე დაე იკისროს იმ პარტიამ, რომელიც სწორედ კრიტიკულ მომენტში ამიერკავკასიის ერთა ძმურს ოჯახს გამოეყო და თითონაც დაიღუპა და სხვებსაც გაუთხარა სამარე.

ჩვენ გვგონია, რომ სომხის ერის ხელმძღვანელ პარტიებს ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ გონიერება; ჩვენ გვგონია, რომ ამ კრიტიკულ მომენტში ისინი ხელს აიღებენ თავიანთ პოლიტიკანობაზე და გარკვეულ პასუხს იტყვიან. ქართველმა ხალხმა ერთხელაც არის უნდა გაიგოს: ჩვენი მოკავშირეა სომხის ერი, თუ, პირიქით, იგი ჩვენს წინააღმდეგ მიდის და ამიტომ ჩვენც იძულებული ვხდებით უკვე საკუთარის ძალღონით გამოვსძებნოთ ხსნა ჩვენი ერისა.

ყოველს წუთს საბედისწერო მნიშვნელობა აქვს და არავის მივცემთ ნებას ამ წუთებით ბოროტად ისარგებლოს.

არ. ჯაჯანაშვილი.

ჩვენი მომავალი

2.

ჩვენს ახალგაზრდა, ნორჩ რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს და ეყოლება დიდ ხანს. უპირველესად ყოვლისა ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებენ და უკვე ილაშქრებენ კიდევაც რუსის ყველა ჯურის იმპერიალისტები. აქაურ შავრაზმულ მოხელეობას, აფიცრობას, კადეტებს და ეგრედ წოდებულ „ეს-ერებს" გულს ლახვრად მოჰხვდათ ჩვენი თავისუფლება. პირველნი მართალნი არიან, რადგან აქ ლუკმა-პურის საკითხია. უეჭველია ისინი ჰკარგავენ ბევრს და ჰკარგავენ უპირველესად ყოვლისა თავის პრივილეგიურ მდგომარეობას. ვინ არ იცის, რომ კავკასია აქამდე, რევოლიუციის დროსაც გამომკვები იყო ათასობით გადმოხვეწილ გათახსირებულ მოხელეობისა. ესენი ეგრე ადვილად როდი დასთმობენ თბილ ადგილებს და ეგრე მალე ვერ შეურიგდებიან იმ მდგომარეობას, როდესაც ჩვენი ხალხი და მთლად ამიერკავკასია მათ საწველფურობას აღარ გასწევს.

რაც შეეხება კადეტებს, მათი სულისკვეთება ხომ ცხადი იყო წინად და ეხლაც ადვილი ასახსნელია მათი ასისინება. ეს ადამიანები სტამბოლის დაპყრობას და სრუტეების ხელში ჩაგდებას ოცნებობდნენ. ლილა გაუხუნდათ და რუსეთმა არამც თუ სხვისი ვერაფერი მიითვისა, თავისიც დაჰკარგა. სამუდამოდ დაიმარხა რუსეთის იმპერიალისტების აღმაფრთოვანებელი ლეგენდა მესამე რომისა, მთელი ქვეყანა რომ უნდა დაემორჩილებინა და ქვეყნის გასაკვირვებლად მარადის ეცოცხლნა. დიდი რუსეთი შედარებით პატარა მოსკოვად გარდაიქცა. თვით რუსის ხალხმა, მასსამ ვერავითარი ნიჭი ვერ გამოიჩინა სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა და რუსეთის პოლიტიკურად აღდგენა ძველს საზღვრებში ამაო ოცნებაა. კარგად დაახასიათა ერთმა მწერალმა ახლანდელი რუსეთი: იგი გორკის ალიოშას ჰგავს, რომელიც გალეშილი ქუჩაში გდია და გრძნობა დაუკარგავს. როდესაც ხელს ახლებენ, იგი რაღაცას ლუღლუღებს და იძახის: ничего не хочу, ничего не желаю ..

აქაური ეს-ერები? ესენი ხომ დიდი ხნის ნაცნობები არიან. ეს ვაჟბატონები, რომელთაც მარტში პირველად გაიგონეს სოციალიზმის და რევოლიუციის სახელი—ეს ადამიანები კავკასიის ერებს, მის დემოკრატიის მეთაურებს უწუნებენ რევოლიუციონერობას და თავისუფლების დროშის ძირს დაშვებას. ჩვენ ვიცნობთ ამ მოხელეებს რუსთა გადმოსახლების პუნქტიდან და გვესმის მათი სულისკვეთება. მათაც თბილი ადგილების დაკარგვა აგიჟებს. რა აქვთ მათ საერთო ხალხთან და რევოლიუციასთან? მხოლოდ ის, რომ ისინი „დამცველნი" არიან „რევოლიუციონურ" ფრონტისა, რომლის რაზმში არც ერთი მათგანი არ ყოფილა. ეს ჯენტლმენები ზოვი თვითონ გამოექცა რევოლიუციას რუსეთში და აქ თურმე მათი რევოლიუციონური ენტუზიაზმი იმდენად გაღვივდა, რომ სხვებს მოუწოდებენ მათი საქმისათვის თავის დადებას. კარგია სხვისი ხელით ნარის გლეჯა. მით უმეტეს იმისთანა ხალხისათვის, ვისაც კავკასია ველურთა და საზარბაზნე ხორცის ქვეყნად წარმოუდგენია.

და ყველა ამ სხვა და სხვა ჯურის იმპერიალისტებს, ნაციონალისტებს და კაცი-ჭამიებს ჩვენს წინააღმდეგ აერთებენ ეგრედ წოდებული ბოლშევიკები. რუსის იმპერიალიზმი ჩვენსკენ მოიწევს ბოლშევიზმის დროშის ქვეშ. ტყუილად კი არ ჰქადაგებს კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა" ბოლშევიკებთან კონტაქტს. სული სულს იცნობსო, ნათქვამია და კადეტებმა იციან რას ჩადიან და რა მოაქვს ჩვენთვის ბოლშევიზმს: რეაქცია, ხულიგანობა, ძველი რეჟიმი და საბოლოოდ რუსეთის პამპადურების ჩვენში გაბატონება. მათი იმედით არის, რომ ეს ქონდრის კაცები, რომელთაც საკუთარი ოჯახი ვერ მოუწესრიგებიათ, ჩვენ გვეპოტინებიან, გვემუქრებიან კიდევაც: ჩრდილოეთის ქარი მოგლუნავთ, დაგაბრჩობთო...

კარგი რამ გქირდეთ, გვაქვირდეს, ავი რა საკვირველია. ჩვენ თქვენგან არც მოველოდით სხვა რასმე. მაგრამ იცოდეთ, ვაჟბატონებო, რომ ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და თქვენს მუხანათურ თავდასხმას მოვიგერიებთ. შორს თქვენი ჭუჭყიანი ხელები—უნდა შევსძახოთ ამ გაცოფებულ ბრბოს და თავისი ადგილი მივუჩინოთ. მათი ჩვენს კისერზე ხელმეორედ წამოსკუპება—ოცნებაა და ამ ოცნებაზე მათ სამარადისოდ ხელი უნდა აიღონ.

მაგრამ არის თუ არა თვით ჩვენში, ამიერკავკასიის ერებში თანხმობა და ერთი პოლიტიკური კურსი?

ეს შემდეგ იყოს.

ქ. რამიშვილი.

გეგეჭკორი და ჩხენკელი

გეგეჭკორის სამინისტრო საუცხოვო ილიუსტრაცია იყო ამიერკავკასიის ცხოვრებისა. ხანგრძლივი კრიზისის ქრონიკა და ისტორია ჩვენ ფართოდ გვქონდა გაშუქებული თავის დროზე. მაშინვე აღვნუსხეთ, რომ შეუძლებელია ძალით შექმნილ სამინისტროს შედგენა თუმცა სათავეში ენერგიული მოღვაწე იყო დანიშნული.

ჩვენი შეხედულება ძალიან მალე გაამართლა ცხოვრებამ. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას თვით ევგენი გეგეჭკორიც ხაზგასმით აღიარებდა, რომ ამიერკავკასიაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ერთი ცენტრალისტური სამინისტროს შედგენა შეუძლებელია. არავის დაავიწყდება სეიმში გეგეჭკორის განცხადება, როდესაც ის ეროვნულ ჯგუფებს პირდაპირ მოსთხოვდა ჯერ ეროვნულად დარაზმვას და შემდეგ მათ შეერთება-შეკავშირებას. საქართველოს ეროვნულ საბჭოში და სხვა ადგილასაც გეგეჭკორი ოფიციალურადვე ამბობდა აუცილებლობას ამიერკავკასიაში ფედერაციის და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების ფედერაციის მიხედვით შედგენას. ამ განცხადების შემდეგ ყველა ხედავდა, რომ გეგეჭკორი ხელოვნურად არის ჩაყენებული ისეთ პირობებში, სადაც შეუძლებელია რისიმე გაკეთება. და მართლაც, გეგეჭკორმა ვერ სძლია დაუძლეველი, მისი სამინისტრო ვერ გამოდგა შემაერთებელი ყველა ძალისა, თუმცა ლოზუნგი და პრინციპი ერთობისა, მთლიანობისა ჰქონდა სამინისტროს საფუძვლად.

გეგეჭკორის მარცხი აუცილებელი იყო, მოსალოდნელი. ასე დამარცხდებოდა ყველა მოღვაწე გეგეჭკორის ალაგას. ის, რაც გეგეჭკორს დაემართა ტფილისში, სავსებით განმეორდა ტრაპიზონში და დაემართა ჩხენკელს. ის წინააღმდეგობა, რომელიც საქმიანობის უნარს უკარგავდა გეგეჭკორის სამინისტრო კომბინაციას, იგივე წინააღმდეგობა საქმეს ურთულებდა, უძიმებდა ტრაპიზონში ჩხენკელის საზავო კომბინაციას. თუ ჩვენ წვრილმან მომენტებს არ გამოვეკიდებით დავინახავთ ერთ ფაქტს: დამარცხდა ჩვენში გეგეჭკორი და ისევე დამარცხდა უცხოეთში ჩხენკელი.

მაგრამ სხვა მხრივაც აღსანუსხავია ანალოგიური მოვლენა. როგორც აქ სიღუხჭირის და მოუწყობლობის მიზეზს ასახელებდა გეგეჭკორი, ისევე და იმ მიზეზებს ასახელებდა იქ ჩხენკელი.

გეგეჭკორი და ჩხენკელი, მათი მოქმედება და სიტყვა ერთი ხაზის, ერთი შინაარსის მოქმედებაა, ორივე ეს მოღვაწე ერთში დარწმუნდა: ამიერკავკასიას თუ იხსნის დაიხსნის მხოლოდ ფედერაცია.

გეგეჭკორის გადადგომა ფედერატიულ რესპუბლიკის გამოცხადების დროს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობის არის; ეს არის ძირითადი წინააღმდეგობა გეგეჭკორის უკანასკნელ დროის პოლიტიკურ შემეცნებისა, მისი გადადგომა ლამაზ სახეობისათვის იყო საჭირო, რომ როგორმე გამოხახულიყო სახელმწიფოებრივი ცვლილება და ახალი ხანა ამიერკავკასიის ცხოვრებაში.

ეს რომ ასეა, იქიდანაც სჩანს, რომ გეგეჭკორის სამინისტრო ფაქტიურად დარჩა ჩხენკელის ხელში, რომ მთელი სამინისტრო, ყველა მინისტრი მოელოდა ასეთს ცვლილებას და არავისათვის ეს ცვლილება არც მოულოდნელი ყოფილა და არც ზედ-მეტი.

ამიერკავკასიის ფედერაციას მხურვალედ შეეგება შეგნებული დემოკრატია ამიერკავკასიაში. ასევე შეხვდნენ ამ მოვლენას წრეები და მთელი მთავრობა. ყველა დაწესებულება სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, საქალაქო ხასიათისა სრულის თანხმობით შეხვდა ამ ცვლილებას, ეს აქტი იყო სრული ეროვნული შეთანხმების ნაყოფი და ასეთი მდგომარეობა ყველა მოქალაქეს ავალებს, აგრეთვე მთავრობას, რომ გადადგმული ნაბიჯი იყოს მტკიცე და მუდმივი.

ჩხენკელია დღეს ახალ განწყობილების სათავეში. ჩხენკელი აკეთებს რასაც ამბობდა გეგეჭკორი და ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ყოფილ პრემიერს თავის სიტყვის და ენერგიის საშუალებით შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს ჩხენკელს თვით საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციით და მობილიზაციით.

ასეთი მუშაობა დღეს ფრიად საჭიროა. ამიერკავკასიის ფედერაციას ჰყავს ფარული მტერი, არიან მოწინააღმდეგენი, სულისა და ხორცის სპეკულიანტები, რომელნიც ყოველ საშუალებას, ყოველს მომენტს, დროს გამოიყენებენ, რათა კრიზისი თავს დაატეხონ აკაკი ჩხენკელის მთავრობას.

ჩვენ ყველამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ დღეს: სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში მომსპობია კრიზისები, მინისტრების ცვლა, მუდამ გზის ძებნა და ლაბირინტებში ხეტიალი. მთელის ჩვენის ენერგიით უნდა შევქმნათ ღონიერი ორგანიზაცია, რომ ყველა ჯურის პოლიტიკურ ავანტიურისტებს, იქნება ეს სამინისტროს შიგნით თუ საზოგადოების გულში თავის დროზე ლახვარი ჩაეცეს, რომ ამით საბოლოოდ დამტკიცდეს ჩვენში მყუდროება, სიწყნარე და კეთილდღეობა.

ერთობა პოლიტიკაში, ერთობა ორგანიზაციაში—აი ჩვენი ხსნა დღეს. ჩხენკელი იქნება თუ გეგეჭკორი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოღვაწე ყველა მოვალეა ამ საქმეს მტლად დაედოს და მით თავიდან აგვაცილოს ათასგვარი უსიამოვნო შემთხვევა.

მეგობარი.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მტრების შესახებ სწერს:

„ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას თავის გაჩენის დღიდან არა ერთი და ორი მტერი გაუჩნდა. მტერი ბევრი ყავს შინაურიც და არა ნაკლებ გარეული.

შინაურობაში მის წინაღმდეგ ილაშქრებენ პარტიული თუ ჯგუფური ინტერესებით ხელმძღვანელ პარტიებით უკმაყოფილონი, ბოლშევიზმის დროშის ქვეშ დამდგარნი შეგნებული თუ შეუგნებელი ელემენტები. ამათ რაზმს ამშვენებს რუსის ხალხის ანტიდემოკრატიული და რეაქციონური წრეები, რომელთაც ამიერკავკასია თავის საწველ ფურად მიაჩნდათ. ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ ამ ვაჟბატონების წინააღმდეგობა მხოლოდ სიტყვიერი და წერილობითი აგიტაციით დაკმაყოფილდება. პირიქით იგინი შეეცდებიან იარაღით ხელში მოახვიონ ადგილობრივ ხალხს, დემოკრატიას თავის სურვილები დაუმორჩილონ იგი რუსეთს და ასე ხელი აიღებინონ საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებაზე.

მეორე მხრით უცხო ქვეყნების და სახელმწიფოების თვალიც აქეთკენ არის მომართული. ოსმალეთი თუ სხვა მის უკან მდგომი სახელმწიფოები პირზე ნერწყვმომდგარი შეყურებენ ამ გემრიელ ლუკმას და მზათ არიან იგი გადაყლაპონ. ამიერკავკასიის დაპყრობა და თვის კოლონიათ გადაქცევა მათაც სანუკვარ საგნათ აქვთ გამხდარი.

ამიერკავკასიის ახლადშობილმა რესპუბლიკამ, ახალმა წევრმა საერთაშორისო ოჯახისა, ამ ორივე საფრთხეს უნდა გაუძლოს, ორივე უნდა თავიდან აიცილოს, ორივეს უნდა გაუმკლავდეს. მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებს იგი თავის არსებობას და იმ თავისუფლებას, რომელიც რევოლიუციის პროცესში შეიძინა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკა რევოლიუციის მსვლელობაში დაიბადა. იგი რევოლიუციონური რუსეთის შვილია, მისი მონაპოვარის მემკვიდრეა. თუ ის დღეს სახელმწიფოებრივათ ჩამოშორდა რუსეთს, ეს მიტომ, რომ რუსეთმა ამ ჟამად დაკარგა რევოლიუციური სახე და ბოლშევიზმის უსაზღვრო რეაქციის ბანაკათ იქცა.

ამ რეაქციით ისარგებლეს გარეშე და შინაურმა მტრებმა ამიერკავკასიის დემოკრატიის საწინააღმდეგოთ, მისი მთლიანი ფრონტის დასარღვევათ, მისი რევოლიუციურ შემოქმედების შესაფერხებლად. და იგიც უძულებული გახდა ამ რეაქციონურ მოძრაობას გამოყოფოდა.

ვერავინ იტყვის, რომ ამით დემოკრატიას უარეყოს რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია. პირიქით თვით ეს ნაბიჯი გამოყოფისა, დამოუკიდებლობისა, გამოწვეულია იმის სურვილით, რომ შევინარჩუნოთ მოპოვებანი რუსეთის დიდი რევოლიუციისა, რომელსაც რუსეთში უკვე სამარე აქვს გათხრილი. ამიტომ სულიერად და ზნეობრივად ჩვენ ისევ რუსეთის რევოლიუციის ფრთას წარმოვადგენთ. ხოლო ჩვენი მტრები იმავე დროს რუსეთის რევოლიუციის მტრებიც არიან.

ერთი და იგივენია ჩვენი მოძულე და მოწინააღმდეგე: ბოლშევიზმის ანარქია და გარედან შემოსეული მტერი, კონტრ-რევოლიუციონერები ყველა სახის და ჯირის. ერთი ნაწილი დემოკრატიის შეიძლება მათ მახეში გაებას, მათი სიტყვებით დაბრმავდეს, მაგრამ ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ იგი მალე გამოერკვევა, და როგორც ფინლიანდიას არ ებრძვის, ისე არც ჩვენს ნორჩ დამოუკიდებელ რესპუბლიკას შეებრძოლება.

საშიშროებას წარმოადგენს მხოლოდ თავზე ხელაღებული ბოლშევიზმი აშკარა შავრაზმელებთან შეხმატკბილებული და გარედან მომდგარი მტერი.

ეს ორი ძალა ერთსულოვნათ აწვება ორი მხრიდან ჩვენს მხარეს და განადგურებას უქადის".

ნარკვევი

„კავკაზსკოე სლოვო", როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შერიგებია მომხდარ ფაქტს—ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას და სცდილობს რაიმე ხინჯი ან ნაკლი აღმოაჩინოს ამ ფაქტში, ამ გაზეთის მეთაური ითვალისწინებს ორ შესაძლებლობას. ერთს იმას, რომ საზავო მოლაპარაკების დროს, ეხლა რომ უნდა გაგრძელდეს, ოსმალეთი იქნებ უფრო აგრესიული იყოს თავის სურვილ-მოთხოვნილებებში. ხოლო მეორე შესაძლებლობა, რომელიც დამოუკიდებლობის იმედებს უკლავს „კავკაზსკოე სლოვოს" მეთაურს, არის სურსათი. ახალ მოსავლამდე საჭირო იქნება 10 მილიონი საიმპორტო პური, მაგრამ მას ჩვენ ჩრდილო კავკასია არ მოგვცემსო. პურს არ გვიწილადებს არც უკრაინა, არც დამშეული ოსმალეთი და არც სპარსეთი, თავი რომ ლენქორანიდან კონტრაბანდით გატანილ პურით ძლივს ირჩენსო.

დასკვნა როგორია? „კავკ. სლოვოს" სიტყვით, გამოსავალი მხოლოდ ერთია: შეიქმნას დაუყოვნებლივ ჩრდილოეთთან კონტაქტი და ისეთი საზიარო ენა გამოიძებნოს, რომლის საშუალებით ჩრდილოეთი პურს მოგვცემსო და ასე აბოლოვებს თავის აზრს:

„თუ ჩვენ იმედი გვაქვს მეგობრობის დამყარებისა **იმპერიალისტურ ოსმალეთთან**, მით უფრო ჩვენ მოვალენი ვართ დავამყაროთ **მეგობრული ურთიერთობა ჩრდილოეთის დემოკრატიასთან**."

სასურსათო კრიზისი, ყოველ ეჭვს გარეშე, მეტად სერიოზული საკითხია და ახალი მთავრობა ჩხენკელისა, რა თქმა უნდა, ამას გაითვალისწინებს და რადიკალურ ზომებსაც მიიღებს ამ კრიზისის ყოველმხრივად განლევისათვის მით უფრო, რომ იმედი აქვს „კავკაზსკოე სლოვოს" მეთაურნი და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ნაადრევი და არამკითხე დამტირებელნი ყოველთვის თავს წამოჰყოფენ სასურსათო საქმის სულ მცირე გართულებისათანავე. ეს ცხადია, მაგრამ ჩრდილოეთის რომელ დემოკრატიასთან გვირჩევს კონტაქტის დაჭერას „კავკაზსკოე სლოვოს" მეთაური? იქნებ ბოლშევიკებთან? ამის პასუხი უკვე 9 აპრილის სეიმის სხდომამ მისცა ბოლშევიკების მოტრფიალეთ.

ოფიციალური დეპეშები

1818 წლის 13 აპრილი. 11 საათი.

ზღვის სანაპიროების მიმართულებით, არ ყოფილა შემთხვევა რომ დაერღვიათ წინასწარი ზავი.

ყარსის რაიონი. 11 აპრილს ოსმალოებმა შემოუტიეს ჩვენს რაზმს მარცხენა ფლანგით; ჩვენს რაზმს სოფ. მაცრის (ყარსის ჩრდილოეთითაა) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ეკავა პოზიციები. ოსმალოებმა გარეკეს რაზმი, ყარსის შარაგზამდე მივიდნენ და სროლა აუტეხეს რკინის გზას. ჩვენი ნაწილები მოვიდნენ საშველად და მტერი გარეკეს, ჩვენ დავიკავეთ ჩახლას ბაშის მაღლობი, რომელიც სოფ. მაცრის სამხრეთ-დასავლეთით 8 ვერსით არის დაშორებული. ყარსიდან ცნობები არ მოსულა.

შატილოვი.

მთავრობის გარშემო.

11 აპრილს მთავრობის სხდომა იყო, რომელზედაც გამოირკვა, რომ პირველ მინისტრის აკ. ჩხენკელს სტრატეგიული ხასიათის განკარგულება გაუცია. მინისტრებმა ხატისოვმა, ქაჯაზნუნმა და საჰკიანმა (დაშნაკელები არიან), როდესაც გაიგეს ეს, განაცხადეს, რომ ისინი სხდომას სტოვებენ და კერძო თათბირს მართავენ. კერძო სხდომის შემდეგ მათ განაცხადეს, რომ სტოვებენ მთავრობას, თუ მის ხელმძღვანელად და პირველ მინისტრად აკ. ჩხენკელი დარჩება. არც ერთი ფრაქცია ამიერკავკასიის სეიმისა ამაზე არ დასთანხმდა.

ამის გამო მთავრობის კრიზისი ორ დღეს გაგრძელდა.

გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის მთავრობამ ოფიციალური ცნობა დაგზავნა, რომ წასული მინისტრები: ხატისოვი, ქაჯაზნუნი და საჰკიანი მთავრობაში დაბრუნდნენ თავის პოსტებზე.

ახალი ამბავი

ერეკლე მეორეს გასამართლება დღეს, შაბათს, 14 აპრილს საღამოს გაიმართება მეფე ერეკლე მეორეს გასამართლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: გ. ქურული, ივ. გომართელი, ექ. თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ივ. ჩერქეზიშვილი, პ. ქავთარაძე, ირაკლი ამირეჯიბი, გრ. ვეშაპელი, ვალ. გუნია, შალვა დადიანი, გრ. რობაქიძე, პ. ინგოროყვა გ. ქიქოძე, რ. ინგილო რ. გაბაშვილი, იპ. ვართაგავა, კ. მაყაშვილი, დ. კასრაძე, დ. ჯავახიშვილი. მ. ხერხეულიძე და აგრეთვე დამსწრე საზოგადოებიდან.

სრულიად საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირის საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში კავშირის განყოფილებების მოსაწყობად ამ მიზნის განსახორციელებლად მან 10 აპრილს დეპეშით სთხოვა ქუთაისში ივ. ფხაკაძეს, კონ. გოცირიძეს და აბულაძეს, 15 აპრილისთვის მოიწვიონ ადგილობრივ დაწესებულებებში ქართველ მოსამსახურეების კრება და თავის მხრივ კრებაზე დასასწრებლად და საქმის მოსაგვარებლად გაგზავნა დელეგატებად ვალ. ბაქრაძე და გიორგი ჯაფარიძე.

ოსმალეთის დელეგაციის შესახებ. ცნობა იმის შესახებ, რომ 12 აპრილს ღამით ოსმალეთის საზავო დელეგაცია ჩამოვიდა ტფილისში, მართალი არ არის. არც ელიან იმათ ჩამოსვლას აქ.

სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. კვირას, 15 აპრილს ქართულ კლუბის დარბაზში გურიის დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება დიდი სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. პირველ განყოფილებაში ალ. ლომთათიძე წარმოსთქვამს მოწოდებით სიტყვას. მეორე და მესამე განყოფ. დრამატიული განყოფილებები: სახ. ხახლთან არს. წარმ. მმართველი წრე. მეოთხე სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება: მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, ვ. ტუქსიშვილი, დ. მეჩონგური და სხვ. იმღერებს გურულების გუნდი; ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. ბილეთები გაიყიდება კლუბის კასაში კვირას 12 საათიდან. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ზომების მიღება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა: ქალაქში ტყვიის მფრქვეველები და ბატარეები მოაწყონ თავდაცვის საჭიროებისათვის, რადგან მოსალოდნელია მავნე ელემენტების გამოსვლა.

ბოლშევიკების უკუგდება. იმავ სამინისტროს მოუვიდა ცნობა, რომ ბოლშევიკებს აჯიქაბულიდან ბაქოსკენ დაახევინეს.

შემთხვევები. 13 წლის ვაჟმა კოჯაიამ რევოლვერით მოჰკლა უცაბედად ი. შარცველაძე.

11 აპრილს სასტუმრო „ნოე"-ში უცაბედად რევოლვერით მძიმედ დაიჭრა ვეზირიშვილმა თავის თავი, რის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

შეტაკება თათრებთან. სოფელ ბადდადში მოხდა შეტაკება ქართველთა და თათრებს შორის არის დაჭრილნი და მოკლულნიც. 20 დაჭრილი ჩამოიყვანეს ქ. ქუთაისში.

მატარებელი განჯაში. რკინის გზის სამმართველოს განყოფილების უფროსი დეპეშით სთხოვს გაგზავნოს განჯაში ჯავშნოსანი მატარებელი, რომელიც ტფილისში იმყოფება.

ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა 13 აპრილს მიმოსვლის მიმართა შემდეგი განცხადებით: რკ. გზის ადმინისტრაციის დაუკითხავად სამტრედიის ქალაქის თვითმართველობამ სამტრედიის რკ. გზის სადგურის მოსამსახურეებს მიატოვებინა თავიანთი ბინები. ზოგი მოსამსახურე სამსახურის თავის დბნებებას აპირებს და ამიტომ ითხოვს ბინები ეშოვო მოსამსახურეთათვის.

მობილიზაცია გორში. გორიდან გოგუა 10 აპრილს ამიერკავკასიის მთავრობას აუწყებს, რომ მობილიზაცია განახლდა 9 აპრილს დილის 9 საათზე და კარგად მიდის.

მოლიპულ გზაზე. მზადდება წარმოსადგენად ახალ კლუბში საუკეთესო ძალებით ხუთშაბათს 19 აპრილისათვის ეფ. მესხის მონაწილეობით, რომელიც შეასრულებს მაკინეს როლს. ბილეთები უკვე იყიდება კასაში.

ქალ. ტფილისის ახალი სესხი. ტფილისის თვითმართველობა შუამდგომლობს, მთავრობის წინაშე, მიეცეს მას 10 მილიონი მანეთი უპროცენტო სესხად 3 წლის ვადით ქალაქის სურსათის საჭიროებისათვის.

შრომის ბირჟის გაუქმება. შრომის სამინისტრომ იმის გამო, რომ აღძრულია საკითხი საოლქო შრომის ბირჟის გაუქმებისა, მიმართა ბირჟის გამგეს ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ბირჟის მოქმედების ანგარიში.

გაზეთის გაძვირება. ბეჭდვითი საქმის მოსამსახურეთა კავშირის დადგენილებით გაზეთზე მომუშავე მუშებს, გარდა მოწაფეთა, ემატება 15 აპრილიდან თვეში ასი მანეთი. ამის გამო ტფილისის გაზეთების გამომცემლებს საგანგებო თათბირი ჰქონდათ, სადაც დაადგინეს, რომ 15 აპრილიდან გაზეთის ფასიც მომატებულ იქმნეს. ტფილისში და პროვინციაში გაზეთი ეღირება 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია პარტიის რაზმელების ყრილობა. კაპიტანი ქუთათელაძე იზაასებს სამხედრო ხელოვნებაზე. საჭიროა აუცილებლად დაესწრონ ტფილისში მყოფი ყველა რაზმელები. იქნება სხვა საკითხებიც.

—

დღეს საღამოს სრულ 5 საათზე დანიშნულია ამხანაგ ქალების სწრაფი კრება. დასწრება აუცილებელია, რადგანაც განსახილველია საგულისხმიერო საგანი კრებისა: ფრონტზე მყოფ რაზმის დახმარება.

—

ტფილისის კომიტეტის წევრთა კრება შესდგება დღეს 14 აპრილს პარტიულ დარბაზში საღ. 7 საათზე. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, ყველა წევრი ვალდებულია დაესწროს.

ბათომის ამბები

ისტორიისათვის ძლიერ საინტერესო დაწვრილებით ამბები ჩვენი საომარი სამზადისისა და ის თუ რა ხდებოდა ბათომში მის ჩაბარებამდე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზე წერა ზავის შეკვრამდე უდროულად მიგვაჩნია. ავსწერ მხოლოდ თუ რა ამბავი მოხდა ბათომში 31—1 და რა მდგომარეობაშია ბათომი და შიგ მყოფნი ეხლა.

როგორც ვიცით 31 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე დასრულდა ვადა ოსმალთა ულტიმატუმისა და საშინელი სისასტიკით გაჩაღდა ბრძოლა. ბათომის ფორტებზე დარჩენილი მცირერიცხოვანი მებრძოლნი ლომისებურად ეკვეთნენ მტერს. უმრავლესობა ჯარისკაცებისა კი ქალაქში დაწანწალებდნენ და იმას უცდიდნენ როგორ ექეიფნათ, როგორ გაეძარცვათ ვინმე ან ბათომიდან გაქცეულიყვნენ. უმთავრეს ფორტებზე, რომელნიც მთებიდან შემოსასვლელებს იცავენ ზარბაზნები ან გაფუჭებული იყო წინეთ გაქცეულ ხულიგან რუსების მიერ, ან სულ არ იყო ზედ და ფორტებს ტყვიის მფრქვეველებით იგერიებდნენ. ისროდნენ ზღვის პირას მდებარე ფორტებიდან, განსაკუთრებით სტეფანოვკადან, ჰამიდიედან და აზარციტიდან, აგრეთვე მხნედ მოქმედებდა კაპ. ცაგურიას ბატარეია. ღამით ოსმალებმა საშინელი იერიშები მოიტანეს ანარიაზე, სადაც თავგანწირულად ეკვეთა მტერს სახელოვანი მამულიშვილი კაპ. შავგულიძე სულ სამოცი დარჩენილი ერთგული მეომრით. იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ ანარიას დაიპყრობდნენ ბათომი თითქმის აღებული იქნებოდა, რადგან აქედან დანარჩენ ფორტებს პირდაპირ ზემოდან დაჰყურებდნენ. მაგრამ საუბედუროდ ფორტების მისასვლელებში მდგომი წითელი გვარდიელები და ჯარისკაცნი დაიხოცნენ ან გაიქცნენ, ასე რომ ანარია გარს შემორტყმული შეიქმნა.

სასტიკმა ბრძოლამ გასტანა დილამდე. ამ სამოცმა გმირმა კაპ. შავგულიძის მეთაურობით აუარებელი მტერი გამოასალმა წუთისოფელს. მაგრამ ოსმალთა ჯარისკაცნი ჭინჭველასავით ეხვეოდა ამ ფორტს. ერთ დროს იყო მომენტი, როდესაც ოსმალთა ჯარი შედრკა (შემდეგ გავიგეთ, რომ თურმე ამ დროს ოსმალთა შემომტევ კოლონის უფროსი უკვე ბრძანების გაცემას აპირებდა, რომ უკან დაეხიათ. მაშინ ბათომი გადარჩებოდა), მაგრამ ამ დროს გმირულად დაიღუპა თითქმის უკანასკნელი დამცველი ანარიისა კაპ. შავგულიძე და უკანასკნელი ტყვიის მფრქვეველიც ჩაჩუმდა. ოსმალოები ფორტში შეიჭრნენ. შიგ არც ერთი ცოცხალი ქართველი არ აღმოჩნდა. ოსმალთა ყუმბარებით, რომლითაც ფორტი სავსე იყო ქართველ მეომართა სულ დაფლეთილი გვამებით იყო. სამაგიეროდ ანარიას მწვერვალის კალთები სულ დაფენილი იყო ოსმალთა გვამებით.

ჩაქვის თავში მდგომი რაზმი პოლკოვნიკ ყარალაშვილის მეთაურობით თავიდან გმირულად იბრძოდნენ და ერთის წამსაც არ დაუნებებიათ ოსმალთათვის თავიანთი პოზიციები. ოთხ საათამდე მათ არ იცოდნენ ბათომის დაცემის ამბავი და ამიტომ მახინჯაურიდან წასული ოსმალთა ჯარი მათ გარს შემოერტყა, მაგრამ ბ-ნ ყარალაშვილის სიდინჯემ და გამოცდილებამ იხსნა იგინი განსაცდელისაგან. ბრძოლით გაარღვია მან ოსმალთა წრე და უვნებლად გავიდა ქობულეთისაკენ. აქ მათ ძლიერ დაეხმარა ჯავშნიანი მატარებელი. ოსმალთა დიდი ზარალი მიაყენეს.

ამ დროს ოსმალებს გზა გაეხსნათ სამების და კახაბრის ფორტების შემოსავლელად, რაც ადვილად მოახდინეს და ბათომის ჩრდილო მხარე ერთიანად დაიპყრეს. ციხეში მყოფ ჯარს გამოსასვლელი გზა გადაუჭრეს. გამოიცა კომენდანტის განკარგულება ჯარს უკან დაეხია, მაგრამ გვიანღა იყო, მიუხედავად ამისა რამდენიმე ნაწილი შეეცადა გაერღვია ოსმალთა წრე მახინჯაურში, სადაც ჯავშნოსანი მიიჭრა და კიდეც მოახერხეს ეს. რამდენიმე მატარებელი აუარებელი ხალხით და ჯარისკაცებით გავიდნენ ქალაქიდან, აგრეთვე ზღვითაც. ამ დროს კი სასტიკ ბრძოლას განაგრძნობდნენ ფორტები ჰამიდიე და სტეფანოვკა. პირველზე იდგა კაპ. ცაგურიას ბატარეია და პოლკ. ვაშაკიძის პოლკის ნაწილი მეორეზე კი ს.-ფედერალისტთა ტრაპიზონის რაზმი სულ 25 ახალგაზდა არტილერისტი. მათ განკარგულება დროზე არ მისვლიათ და სასტიკად ანადგურებდნენ მტერს. მაგრამ 2 საათზე უკვე შეიტყვეს, რომ ბათომი დანებდა. მაშინ ისინი სრულიად წესიერად გაეშურნენ უკან ქალაქიდან წასასვლელად. როგორღა გაიტანდნენ? ქალაქი გარს შემორტყმული იყო. უკანასკნელმა მატარებელმა ძლივს-ღა გაასწრო. მას ტყვისმტყორცნელები დაუშინეს და იქ ბრძოლის დროს ბევრი დაიჭრა და დაიხოცა. ცაგურია და ს.-ფედერალისტები უკანვე გამობრუნდნენ შტაბში. აქ შეგროვილიყვნენ დარჩენილი ერთგული ჯარისკაცნი და ოფიცრობა აქვე იყო გენ. ართმელაძე, ნამდვილი გმირი, რომელიც თოფით ხელში უკანასკნელ შესაძლებლობამდე ხან ერთ ხან მეორე ფორტებზე იდგა და თავგანწირულად მოქმედებდა. აქვე იყვნენ კომენდანტი გედევანიშვილი; გმირი პოლკის უფროსი ვაშაკიძე, გელოვანი და მიქაშავიძე. ყველანი ცხარედ აქვითინდნენ, როდესაც დაინახეს უკან მომავალი ცაგურიას ბატარეია და ცხენოსანი 25 ს.-ფედერალისტი არტილერისტი სტეფანოვკისა, რომელთაც ბოლო ხანებში არა ნაკლებ სახელი მოიხვეჭეს თავის გმირობით. ცაგურიას რაზმი ქვეითად ქუდ-მოხდილი მოსდევდა თავის ზარბაზნებით. თითქოს სამგლოვიარო პროცესია მოდიოდა. არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი ცხენი, არც ერთი ყუმბარა მათ არ დაუტოვებიათ მტრისათვის ფრონტზე. ზარბაზნები უკვე გაეფუჭებინათ. წინ მოუძღოდა ფეხითვე თვით ცაგურია. დაღვრემილ სახეზე მიწის ფერი გადაჰკროდა ეგოდენ მწუხარებას გამოხატავდა ამ გმირის ბავშვის სახე, რომ ყველანი აქვითინდებოდნენ. ვერ წარმოიდგენთ თუ გახრწნილ ქართველ ჯარებში კვლავ შეიძლებოდა ასეთი საოცარი წესრიგიანი ნაწილის არსებობა. ჯარისკაცნი ტირილით ეთხოვებოდნენ თავიანთ ზარბაზნებს. ცაგურია კი ლანძღავდა მათ ვინც ტყვედ ჩაავდო იგი და დროზე არ აცნობა უბედურება, რომ თავისი ბატარეია გადაერჩინა. უკან დაბრუნებისას თურმე მას ქუჩაში შეხვედროდა ოსმალთა ოფიცერი პარლამენტიორი და ეთხოვნა იარაღის აყრა, რათა შემოსულ ოსმალების შეხვედრის დროს რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო, „როგორ მიბედავ მაგასო“ და ხანჯლით კინაღამ არ გაუგმირა გული. ოფიცერი ფეცხლავ შეტრიალდა და თავს უშველა. მალე ოსმალების შტაბიც მიიღო, ქალაქმა და კომენდანტმა ციხე ჩააბარა. რუსი მცხოვრებლები აღტაცებით ფეხზე აღარ იდგნენ. ყველა რუსის სახლზე ოსმალების დროშები გამოაფინეს. ქართველებისადმი მოპყრობა მყისვე შეიცვალა. „ვათავდა თქვენი მფლობელობაო“ გასაზრახებლად ეუბნებოდნენ ქართველებს. რუსის ოფიცრები და მოხელეები უცბათ გამოეყვნენ ქართველებს და გაუგზავნეს ოსმალებს დეპუტაცია, რომელმაც კომენდანტს ჰამიდ ბეის მოახსენა: „ჩვენ რუსებს ბრძოლა არა გვსურდა, ქართველების ხელში ჩავრჩით და მათ გვაიძულესო“—ისინი სუყველანი გაანთავისუფლეს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თითქმის არც ერთი რუსი ოფიცერი არაა მოკლული ან დაჭრილი. ბათომის დაცვის აუარებელი მსხვერპლთა შორის მხოლოდ ქართველებია. რუსთა უმრავლესობა ან უკრაინელად ან პოლონელად მოინათლა. ქართველი ჯარის კაცნი და ოფიცრობა კი იმ დროს დაატყვევეს და ჰამიდიესაკენ გაგზავნეს. თავდაპირველად ძლიერ მკაცრად ეპყრობოდნენ. ბევრსა სცემეს და თითქმის ყველანი გაძარცვეს. მაგრამ მალე ვალის განკარგულებით შესწყდა ეს ბოროტება მძარცველები სასტიკად დასაჯეს. ოფიცრები, მოხელეები და სტუდენტობა გაანთავისუფლეს, ჯარისკაცნი კი არტაანის ყაზარმებში მოათავსეს და დარაჯები მიუყენეს. ბათომის აღებით ისარგებლეს ზოგიერთმა ხულიგნებმა და ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. მაგრამ რამოდენიმე აჭარელი, სპარსელი და ოსმალო რაც ჩამოაღრჩვეს ამის გულისათვის, ყველაფერი დაკანონდა და მალე საოცარი წესრიგი დამყარდა. სულ ერთი დღის განმავლობაში შესძლეს ოსმალებმა ყოველივე ბოროტების მოსპობა. უნდა გენახათ, როგორ დაჰკრავდნენ ხოლმე ჯოხს იმას ვინც რაიმე ბოროტებას ჩაიდენდა. აი მოჰყავთ ოსმალოს ჯარის კაცი ან აჭარელი, რომელთაც რაღაც მოუპარავთ. დაჰკათ მაგას ჯოხი. მაშინვე ერთი ფეხებში წაავლებს ხელს, მეორე მხრებში, მესამე ვეებერთელა კეტსა სცემს ზურგში ან ზურგს ქვემოდ მეოთხე კი ითვლის „ბირ“ „იქი“ „უჩ“ და ასე ერთი შემთხვევა იყო როდესაც გამწარებული დასჯილი ხელიდან გაუსხლტა ჯარის კაცს, რომელსაც მისი მხრები ეჭირა სასჯელის დროს. მაშინვე ამ ჯარის კაცსაც რამდენჯერმე უთაქეს კეტი ზურგში. ქალაქში არც ერთი აჭარელი არ შემოუშვეს და მათი თავაშვებული ჩეტნიკები შორს გარეკეს. კომენდანტად დაინიშნა საოცარი კეთილი და პატიოსანი ადამიანი ჰამედ ბეი, რომელმაც მყისვე მიჰყო საქმეს ხელი. და საოცარი დისციპლინით ამუშავა ყველაფერი რაც აქამდის დანგრეული და დაფუშული იყო. სხვათა შორის საზიზღარი გამოდგნენ ჩვენი ჯარის კაცები: მათ ამოირჩიეს რვა კაცი წარმომადგენლებად და გაუგზავნეს ჰამიდ ბეისთან: „ჩვენ ბრძოლა არ გვინდოდა მხოლოდ ოფიცრებმა გვიღალატეს და ძალად გვაბრძოლესო“. ჰამიდ ბეის ასეთი პასუხი გაეცა: თქვენი ოფიცრები გმირთა გმირები არიან. ასეთი თავგანწირული დაცვა სამშობლოსი, როგორც მათ გამოიჩინეს ღირსია პატივისცემის და ასეთაც მოვეპყრობით მხოლოდ თქვენ მოღალატე ძაღლები ხართო“. ამ რვა „დელეგატს“ ღალატისათვის თითოს ას ერთი წკეპლა უთავაზეს და ისე გაისტუმრეს ყაზარმებში ამხანაგებთან.

ქალაქში უმეტესობა რუსობა დარჩა. ქართველთა რიცხვი ჯარის გარდა 1000—2000 აღემატება. სომხებიც ცოტაა ძლიერ მაგრამ ოსმალები ყველა მცხოვრებლებს საოცარი ლმობიერებით და კარგად ეპყრობიან. ჰამიდ ბეი სწუხდა სად წავიდნენ აქედან ქართველები. ჩვენ იმდენი ხალხი არა გვყავს რომ ქალაქს მოუაროთო. სომხების შესახებაც სწუხდა, საჭირო არ არის მათი გაქცევა; ხელის ხლებას ვერვინ გაბედავსო. და მართლაც სომხები საოცარ კარგად გრძნობენ თავს ყველამ ვაჭრობა კვლავ გაიახლეს. საერთოდ სომხების ჟლეტის შესახებ ოსმალები ამბობენ არტაანში მათი დაჟლეტის ამბავი მტკნარი სიცრუეა. გაჰგზავნეთ კომისია და ნახავთ თუ როგორ სცხოვრებენ თავისუფლად სულ ყველანიო. ქალაქის თავს სთხოვეს განეგრძო საქმე. დასტოვეს აგრეთვე გამგეობის წევრნიც. შემოსვლის მეორე დღეს ოსმალებს წითელმა ჯვარმა გაუმართა რაუტი, მოიწვია გენერალი და ოფიცრობა და საგანგებოდ ამორჩეული ლამაზი მოწყალების დებით დაუმშვენეს გვერდი. აქაც საოცარი ერთგულებას იჩენენ ოსმალთადმი, თუ წინედ წითელი ჯვარი არაფერს აკეთებდა, ეხლა საოცარი ენერგიით მოქმედობს. საიდანაც ოცამდე ავტომობილი აღმოაჩნდათ, ცხენებიც გაუჩნდათ და მუშაობენ დილით საღამომდე. სხვათა შორის აქ რწმუნებულმა ბ-მა დრილმა და ზავაროვმა შეადგინა სია იმათი, ვისაც ოსმალთა ჯარში მუშაობა სუროდა. არამსურველთ უთხრეს—თქვენ სამშობლოში დაბრუნდებითო. ყველა ქართველმა უარი განაცხადა მუშაობაზე ოსმალებთან. მაგრამ რუსებმა მათ შესახებ მყისვე აცნობეს ოსმალების ადმინისტრაციას. რუსის ჩინოვნიკების უმეტესობამ თვით სთხოვა ოსმალებს გამსახურებითო. რუს ოფიცრების დიდი ნაწილი ოსმალთა ჯარში ეწერება. მათი შემწეობით აწყობენ ფორტებსა და ზარბაზნებს. მათივე შემწეობით ამოიღეს ქართველების მიერ ზღვაში გადაყრილი ზარბაზნების გასაღებები. ნატანებიდან ბრძოლის დროს უკვე დაატყვევეს ერთი რუსის ოფიცერი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა. მან მყისვე დახია თავისი წიგნაკი და ვინაობა მისი ჩემ იქ ყოფნის დროს ვერ გაიგეს.

ქართველი ოფიცრობა და ჯარისკაცები საშინლად აღელვებულნი იყვნენ რუსების საქციელით. დამახასიათებელია ერთი ფაქტი: რუსების საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მიმართა ჰამიდ-ბეის: ნება მოგვეცით წირვა-ლოცვისაო. ჰამიდ-ბეის გაეცინა და უპასუხა: „ოსმალები ამისათვის საკმაოდ კულტურულნი ვართ, რომ წირვა-ლოცვა არ დაგიშალოთ. ჩვენ ღმერთებს არ ვებრძვითო“. მწარედ გამაღიმა ამ ამბავმა, რადგანაც გამახსენდა, რომ რუსები არამც თუ მტარვალი მეფობის დროს, რევოლიუციის დროსაც კი „ებრძვიან ქართველების ღმერთს“. მეორე ფაქტიც საყურადღებოა. იმათ, ვინც უკრაინელების სახელი დაირქვეს, ვალის ჰამიდ-ბეის სთხოვეს: ეხლა მოახლოვდა ჩვენი აღდგომა და მოგვეცით თეთრი ფქვილი, ძეხვები და სხვა სანოვაგე, რათა ვიდღესასწაულოთო. პასუხი საუცხოვო მიიღეს: „ჩვენ, მაჰმადიანები, ვდღესასწაულობთ მარხვითა და ლოცვით და არა ქეიფითო. ომის დროს ღორმუცელობით უქეიფობის დღესასწაული წარმოუდგენელია, როდესაც დანარჩენი ნაწილი მცხოვრებლებისა რაციონზე არიანო“.

ოსმალთა შემოსვლის დროს ქართველებს ეგონათ, რომ აღვირწახდილი აჭარლები ხოცვა-ჟლეტას მიჰყოფდნენ ხელს; მაგრამ ოსმალები არც ისე ბეცი პოლიტიკოსები გამოდგნენ. ქალაქში მათ არც ერთი ჩეტნიკი არ შემოუშვიათ. პირიქით, ორმოცამდე აჭარელი დასაჯეს სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის და საერთოდ ყველანი ალაგმეს. შემდეგ განკარგულება გამოაკრეს, რომ ყველანი ვალდებულნი არიან იარაღი ჩააბარონ მთავრობას, მოწინააღმდეგენი დასჯილი იქნებიანო. აჭარლებს კი გამოუცხადეს—თქვენ მორიდებას არ დაგიწყებთ, ბრძოლა გსურდათ, ამიტომ წაბრძანდით ოსმალთა ჯარებში და ჩეტნიკობა მოსპეთო. აჭარლებში გამოაცხადეს მობილიზაცია. გაიწვიეს ჯარში 18-დან 40 წლამდე. აჭარლებმა სთხოვეს—ბაქომდე სადაც გინდოთ წაგვიყვანეთ, მხოლოდ სხვაგან ნუ გაგვგზავნითო, მაგრამ უარი მიიღეს. ჯემალ ბეგი და სხვანი კი ქალაქის ახლოც არ მიუშვეს. ყოველ შემთხვევაში ისინი არ არჩევენ მოპყრობით აჭარლებს ქართველებისაგან. პირიქით, ქართველებს დიდის პატივით ეპყრობიან. აჭარლები კი ყურეს-ჩამოყრილნი და ცხვირ-ჩამოშვებულები არიან. ბევრმა მითხრა: ეს რა მოგვივიდა, დაგვღუპა ჯემალ-ბეგმაო. პირველადვე აჭარლები ძლიერ სცდილობდნენ შეცდომის გასწორებას და როდესაც ქართველები დაატყვევეს, დეპუტაცია გაუგზავნეს ვალის შემდეგი თხოვნით: ქართველებმა აჭარლები დაღუპვიდან გვიხსნა და გთხოვთ გაანთავისუფლეთო.

თუ ერთმა-ორმა პირმა ან ოსმალთა ჯარისკაცმა პირველ დღეს ისარგებლა უწესრიგობით და რამდენიმე სახლი გაძარცვა, შემდეგ ამას სასტიკად სდევნიან. ბევრი დახვრიტეს ძარცვისათვის და დანარჩენი გაქცეულთა ბინები და სახლები დაბეჭდეს, მათი პატრონების დაბრუნებამდე. როდესაც ზოგიერთმა ოსმალოს ოფიცრებმა მიმართეს ჰამიდ ბეის გაქცეულთა ბინები დაგვითმეთო, მან შეარცხვინა ისინი: ჩვენ სწორედ იმათ ქონებას უნდა მოუაროთ განსაკუთრებით, რომელნიც გაიქცნენ. ვინც დარჩნენ ისინი ხომ თვით მოუვლიან თავიანთ ქონებასო. როდესაც სომხები წავიდნენ მათ საქველმოქმედო საზოგადოების ერთმა წევრმა სთხოვა ქართველებს ჩვენი საჩაიე აიღეთ და ისარგებლეთ მოუარეთო. ამიტომ ქართველმა ქალებმა ჰამიდ ბეის სთხოვეს საჩაიე დაგვითმე ქართველ ტყვეების დასახმარებლადო. ჰამიდ ბეის ეწყინა ეს: „რას იტყოდით ქართველები, რომ გაქცევის შემდეგ თქვენი საჩაიე დარჩენილ სომხებისათვის დამეთმო. ეს თქვენთვისაც არ იქნება კარგიო“ და ნება არ დართო. ქალაქში გამოაკრეს განცხადება ოსმალურ, ქართულ და რუსულ ენებზე, რომ ყველა ვალდებულია გაქცეულთა ქონება დაიცვას და ხელი არ ახლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებიან.

8-ს საგანგებო იახტით ბათომს ესტუმრა ენვერ-ფაშა, ვეჰიბ ფაშა და რაუფ ბეი. მათ დიდხანს ესაუბრეს ქართველების წარმომადგენლებს ქალაქის თავს და ექიმ ელიავას, შემდეგ ქართველები იახტაზე მიიწვიეს და გაუმასპინძლდნენ. ბერძნებმა ენვერ-ფაშას თაიგულები მიართვეს. მან ეშმაკურის ღიმილით გადახედა ქართველებს და თვალი უყო თითქოს უნდოდა ეთქვა: დახეთ რას სჩადიანო. საერთოდ ქართველებს ისტორიის გაკვეთილებით არასდროს არ უსარგებლიათ, თორემ ჩვენმა უბედურებამ ბევრს აჰხადა ნიღაბი და ცხადად დაგვანახვა თუ როგორი მეგობრები გვყოლია.

მგზავრი.

დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია და სომხური პრესა.

დამოუკიდებელ ამიერკავკასიას სომხურმა პრესამ იმ თავითვე ალმაცერად დაუწყო ცქერა. სომხის ერის პოლიტიკური მდგომარეობა ისეთი იყო და არის, რომ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაბედულად გამოსვლა ვერც ერთმა სომხურმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ შეძლო, მაგრამ ისე კი, ჩუმად, ყრუდ, თითქმის ყოველი სომხის გულში უკმაყოფილების გრძნობამ დაისადგურა. შიში გულში და ყოყმანი მოქმედებაში, აი რა ახასიათებს სომხობას საერთოდ ამ უკანასკნელი ერთის თვის განმავლობაში.

როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი სეიმმა პრინციპიალურად უკვე გადაწყვიტა, სომხის ბურჟუაზიის ორგანომ „მშაკმა“ რამოდენიმე წერილი უკვე დასტამბა, სადაც ის სცდილობდა დამოუკიდებლობის უსაფუძვლობა „დაემტკიცებინა“, დაშნაკცაკანების გაზეთმა „ჰორიზონმა“ კი სიტყვა ბანზედ აგდო და არჩია არც „ჰო“ ეთქვა და არც „არა“, რადგანაც კარგად იცოდა, რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებიან“. მაგრამ განყენებულმა პრინციპმა ხორცი შეისხა და ამიერკავკასიის ფაქტიურმა დამოუკიდებლობამ იურიდიული, ფორმალური დადასტურებაც მიიღო. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ამბავს სომხური პრესა თავდაჭერით შეხვდებოდა: გაიღიმებდა, მაგრამ ამ ღიმილში სიმწარის გრძნობას ვერ დამალავდა. ასეც მოხდა.

„ჰორიზონში“ მეტად დამახასიათებელ წერილს ვკითხულობთ:

„გუშინ სასახლის თეთრ დარბაზს არაჩვეულებრივი ელფერი ჰქონდა. ხან გეგონებოდა, რომ ოთახში [illegible] სასიხარულო დღესასწაულის სანთლებს ანთებენო, ხან გონს მოხვიდოდი, იგრძნობდი, რომ ეს შეუძლებელია და გეგონებოდა, რომ შენს ირგვლივ რაღაც განსაკუთრებული სანთლები მწუტავენო.

ყურს ვუგდებდი ორატორებს. აგერ, ოსტატურად ეკამათებიან ერთი მეორეს, გონებამახვილობენ, მოსწრებულად უპასუხებენ და ოთხივ კუთხით უცნაური ხმაურობაა გამეფებული ერთის წუთით. შემდეგ ისევ ჩამოვარდნილ სიწყნარეში სიტყვები გაისმოდა, მხოლოდ ახლა კი ამ სიტყვებს ხან დარტყმული ჩაქუჩის სიმძიმე ჰქონდათ, ხან მჩქეფარე სისხლის ტკივილი, ხანაც წყურწყურით ჩამომდინარე ცრემლების წვეწა-ჩხვლეტა.

რა ხდებოდა იქ?

ძნელი იყო გამოთქმული აზრების უკან მიყოლა. გონება მემღვრეოდა, განსაკუთრებით, როცა უცბად ჩემს ყურს მოუწვდებოდა ერთი მეორის საწინააღმდეგო სიტყვები:

„განსვენებაა, ასაფლავებენ...“

„შობიერობის ტკივილებია...“

„именины...“

„დემოკრატია უვის სიფლავს ითხრის“.

„როცა ჩვენ ძალით გვაშორებენ რუსეთს, ჩვენი წყლულიდან გარედ გადმოსჩქეფს მთელი ჩვენი სისხლი“.

და ისევ ჩოჩქოლი, ხმაურობა, ტაში. და ისევ ბევრი სიტყვები, კამათი...

ოცნებაში ვიყავ გართული, როცა უცებ შევნიშნე, თუ როგორ პირველი რიგებიდან ამაღლდა გათეთრებული თავი. ქაჯაზნუნი იყო. თავ-დაღუნულ-ზანტის ნაბიჯით ღრმა დუმილში ამბიონზე ავიდა.

მე ისე მეგონა, რომ ის ამბიონისაკენ რაღაც მძიმე ტვირთს მიეზიდება მეთქი. რატომ იყო იგი თავდაკიდებული და მოკუზული?

„სეიმის დაშნაკცაკანთა ფრაქციას ღრმად აქვს შეგნებული ის დიადი პასუხისმგებლობა, რომელიც იმან მიიღო თავის თავზე და აცხადებს, ამ ისტორიულ წამს და აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობასო“.

მეტი არაფერი.

გაჩუმდა და ჩამოვიდა.

და უცებ მჭექარე და ხანგრძლივი ტაში. რისთვის? ვის უკრავდნენ ტაშს? ორატორს, პარტიას თუ სომხის ერს? ვერ მივხვდი. „ორატორს“ ხომ სიტყვა არ წარმოუთქვამს, პარტია დადუმდა, სომხის ერი კი... ის მეტად შორს არის თეთრი დარბაზიდან და მისი მიწყვეტ-მოწყვეტების, სიტყვების ხმაც კი ვერ აღწევს მის ყურებამდის. მის მოწყლულ გულსა და შეშფოთებულ სულს დღეს სხვისი არაფრის დატევა არ შეუძლიან, გარდა მისი ვეება მწუხარებისა. მაგრამ მაინც რატომ სიტყვა არ წარმოსთქვა დაშნაკცუთიუნის წარმომადგენელმა? რისთვის დადუმდა?

ამბობენ, რომ ხშირად დუმილი სიტყვაზე უფრო მჭევრიაო. მე კი მგონია, რომ ეს დუმილი მჭევრობა არ იყო. არამედ ის, ალბად, ტკივილის, წვეწა-ჩხვლეტის, ულონობის დუმილი იყო.

არის ხოლმე წამი, როცა თქმითაც დაშავდების, როცა სიტყვა არა მარტო სუსტი და ულონო საშუალებაა მოზღვავებული აზრებისა და მღელვარე გრძნობათა გამოსათქმელად, არამედ ცუდზე ცუდი, შეცდომაში შემყვანი ბლაგვი იარაღი, ყოველი სიწმინდის შემრყვნელი, წამბილწველი და დამსახიჩრებელი.

კაცი დუმს ხოლმე უზესთაესი სიხარულისა და უზესთაესი სიმწუხარის დროს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვტირით ხოლმე ტკივილისა და ბედნიერების უღრმეს გრძნობათა წუთებში.

სიტყვის ნაცვლად ცრემლი მოსდის თვალთაგან მდუმარე და უტყვ კაცს, ცრემლი მწუხარებისა და ცრემლი სიხარულისა.

არის დუმილი, რომელიც მჭევრად მეტყველობს და არის დუმილიც, რომელიც სწიწკავს და სჩხვლეტს კაცს. დუმილი ხან აზრებისა და გრძნობათა დიდი მღელვარების წარმომშობია, ხანაც კი ცუდი ნიშნის მომტანია მოწოლილი ტანჯვისა და მძიმე დრტვინვისა.

„მხარს უჭერს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობასო“.

მეტი არაფერი.

ჩვენც დღეს მეტი არა გვეთქმისრა“.

*
* *

„მშაკში“ ვკითხულობთ:

ჩვენ ვდგავართ მომხდარი ფაქტის წინ.

ეს გახლავს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ანუ რესპუბლიკა, რომელიც სეიმმა 9 აპრილის სხდომაზე გამოაცხადა.

ჩვენ ახლა არ ვეხებით იმ საკითხს, თუ ახლანდელი სეიმი რამდენად უფლებამოსილი და ხელმწიფე იყო შეესრულებინა ასეთი დიდი და პასუხსაგები აქტი, როცა რომ სეიმის წევრები არ აურჩევიათ ამიერკავკასიის სეიმისათვის, როცა რომ ამრჩევლებს ასეთი დიდი დავალება არ დაუკისრებიათ თავის წარმომადგენელთათვის, რომელნიც არჩეულნი არიან სულ სხვა პირობებში და სულ სხვა ფუნქციებისათვის. ჩვენ არას ვამბობთ აგრეთვე იმის შესახებ, თუ „დაშნაკცუთიუნს“ რამდენად ჰქონდა უფლება, დახაზარები დავალება და ხელმწიფება, რომ თავისი დასტური დაეცა ასეთი დიადი აქტისათვის, როდესაც რომ იგი სომხის ერს ასეთი დავალებით არ გაუმზითვებია. არას ვამბობთ აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენად ხელსაყრელია ან საზარალო სომხის ერის საარსებო ინტერესებისა და მომავლისათვის ეს აქტი,—არამედ რაკი ვდგავართ მომხდარი ამბის წინაშე, ვინ იცის ეგების აუცილებლობიდან გამომდინარე აბის წინაშე, გვინდა რომ ცოცხალგანად მას ნათელი მოვჰფინოთ, რადგანაც ამ აქტმა ჩვენი ერის გონებაში დიდი აღრევ-დარევა, შფოთი და აურ-ზაური დაჰბადა და დიდი შიში ჩამოაგდო ახალ და ახალ საფრთხის გამო მომავალში“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, თუ რა პირობებში მოხდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება, ბრალსა სდებს „გამოუვალი მდგომარეობის“ შექმნაში რუსებსა და სოციალისტებს, „რომელნიც დღეს იძულებულნი არიან, მათი ლოზუნგებისა და ომების წინააღმდეგ, მუსავათსა და ქართველ მემამულე თავად-აზნაურებს შეუკავშირდნენ და თავი მოიდრიკონ თურქებისა და გერმანელების იმპერიალიზმის წინაშე“. „მშაკისათვის“ ძნელი გამოსაცნობია, სეიმის მიერ „ნებით თუ უნებლიედ“ გამოცხადებული დამოუკიდებლობა ხანგრძლივ მშვიდობიანობას მოუტანს სომხის ერს, თუ სათავე იქნება ახალ-ახალი უბედურებისა და მწუხარებით დასძენს:

„ახლა ჩვენ უნდა შევურიგდეთ მომხდარ ფაქტსაო“.

ირ. წერეთლის მოხსენება

გაზეთ „ერთობა“-ში დაბეჭდილია შემდეგი ანგარიში ირ. წერეთლის მოხსენების შესახებ:

11 მარტს დემოკრატიული კლუბის დარბაზში—მუშტაიდში—ამხ. ირ. წერეთელმა გააკეთა მოხსენება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ.

კრებაზე იყვნენ განსაკუთრებით პირველ ს. დ. რაიონის წევრი მუშები. წერეთელმა შეურყეველი საბუთებით დაუმტკიცა აუდიტორიას, რომ მუშათა პარტიის და ამიერკავკასიის რევოლიუციური დემოკრატიისთვის აუცილებელი იყო გამოცხადებინა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

მან ამ უდიდესი აქტის გამოცხადება მიაჩნია ერთად ერთ გამოსავლად არსებულ გართულებულ მდგომარეობიდან.

დამოუკიდებლობა ერთად ერთი თავისუფალი გზაა, რომელზედაც შეიძლება გაყვანა ცეცხლის ალში გახვეული ხალხის.

რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე დგომა არ ნიშნავს მარტო ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის ცნობას, რომ მარტო ეს იყოს, მაშინ ჩვენი მდგომარეობა ისეთი საშიში არ იქნებოდა.

ბოლშევიკურ მთავრობამ მოაწერა რა ხელი ცნობილ ხელშეკრულობას, ვერ იხსნა ქვეყანა გერმანიის შემდეგი დაპყრობისაგან, ვერც მისცა ზავი რუსეთს და ასეთ მდგომარეობაში გვაგდებს ჩვენც.

მან მოკლა რა რუსეთში ყოველნაირი ფსნარი ნაციონალური თავდაცვის, აგვიკრძალა ჩვენც წინააღმდეგობის გაეწიოთ მტერს აღნიშნულ საზღვრებიდან წინ წამოწევის შემდეგაც.

ოსმალეთის და საზოგადოდ ჩვენს წინააღმდეგ მეომარ კოალიციას საჭიროთ არ მიაჩნია ჩვენთან ლაპარაკი და საზავო პირობების გამორკვევა, სანამ ჩვენ ვართ ნაწილი ბოლშევიკური რუსეთის.

თუ ოსმალეთის დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა ჩვენთან,—ეს მას მიაჩნდა უფრო ადრე მოწყალებათ, ვინემ მოვალეობათ. დამოუკიდებლობა კი ხელიდან გვიხსნის საკუთარი, დამოუკიდებელი მოლაპარაკებისთვის, ასეთ ჩვენ უფლებას ცნობს მეომარი კოალიციაც—როგორც ერთი, ისე მეორე.

გარდა ამისა, ჩვენ ვაერთებთ მთელ კავკასიის ერებს, ჩვენ ვასუსტებთ „მუსსავათის" პარტიას, რომელიც ძლიერია მუსულმანებში რელიგიოზური ელემენტის პატრონობის გამო და რომელსაც რუსეთის ორიენტაცია მიაჩნია ბრძოლათ საქრისტიანო ერების მუსულმანების წინააღმდეგ, საკუთარი ამიერკავკასიის ორიენტაცია სპობს ნიადაგს კავკასიის ერებში ამ ქაჯით არსებული ნაციონალური გამწვავებული ურთიერთობის.

არაა მართალი, თითქო ჩვენ ახალი ორიენტაციით უარეს მდგომარეობაში ჩავარდეთ.

რუსეთის მდგომარეობა ეხლა, როგორც ფინანსიური, ისე სხვა—არაფრით უკეთესი არ არის ჩვენზე, იქ ქვეყანა სრულიად განადგურებულია და მას ჩვენი შველა არ შეუძლია.

რუსეთის დემოკრატიას ჩვენ არ ვეთიშებით, როგორც არ ვეთიშებით არც სხვა ქვეყნების და არ ვიწყებთ მათთან მუდმივ თანამშრომლობას.

ირ. წერეთელმა მიუშვებს ყველა შეკითხვაზე მისცა ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი პასუხი. კრება სულგანაბული უსმენდა მის ნიჭიერ ხელმძღვანელს და ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ადასტურებს სეიმის მიერ გამოქვეყნებულ აქტს დამოუკიდებლობის შესახებ, მხარს უჭერს სეიმს და მის მთავრობას, რომელიც დააჩქარებს ზავის შეკვრას უკვე აღიარებულ პრინციპებზე. კრებაზე ილაპარაკა კარლო ჩხეიძემ, ის. რამიშვილმა და ვებ. ვიგაპკორიამ.

† ვარლამ საყვარელიძე

პროფესორი ვილჰელმ იერუზალემი, როდესაც ეხება და არჩევს პიროვნების და ინდივიდუალობას, სხვათა შორის ამბობს: როდესაც დიდხანს გვაქვს საქმე ერთ რომელიმე ადამიანთან, მაშინ ცხადი და აშკარა ხდება არა მარტო მისი გარეგნობა,—ბევრი სხვა რამეც: ჩვენ ვიცით, როგორ სწყვეტს ის მნიშვნელოვან საკითხებს, რა აღუძრავს მას მხიარულებას ან დამწუხარებას, რა აინტერესებს მას; ჩვენ აგრეთვე შეგვიძლია დაუშვათ, როგორ დაიჭერს ის თავს ამა თუ იმ შემთხვევაში..

პიროვნება ადამიანისა,—მისი განვითარებული „მე"-ა, რამდენად ამ „მეს" ჩვენ შეგვიძლიან ობიექტიურად ჩავსწვდეთ და დავაკვირდეთ. ის წარმოადგენს ჩვენი არსების საფუძველს, რომელიც გამოიხატება ჩვენს გარეგნობაში, ჩვენს ზრახვებსა, გრძნობებსა და სურვილებში... პიროვნება წარმოადგენს პროდუქტს ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მიდრეკილებებისას ნაწილად თანდაყოლილის, ნაწილად კი ჩვენს მიერ შეძენილს. ამიტომ ერთობ ძნელია სავსებით ჩავსწვდეთ და ნათლად წარმოვიდგინოთ ადამიანის პიროვნებაო,—დასძენს გერმანელი ფსიქოლოგი. და, როდესაც მე მსურს არ მაგირში 38 ქართველებთან ერთად სრულიად უდანაშაულოდ მუხანათურად განგმირულ ვარლამ საყვარელიძე პიროვნება ოდნავ მაინც დავახასიათო,—მაკლია ყველაფერი ის, რასაც ფსიქოლოგი ვილჰელმ იერუზალემი აუცილებლად სთვლის, რომ ცნობე იჯინის მსჯელობა და დაახლოვებით მაინც ჩავსწვდეთ, დაახლოვებით მაინც აღვწეროთ ამა თუ იმ პიროვნების მეტადარი ბუნების შინაარსი: მაკლია ყველაფერი ეს, იმიტომ, რომ სამწუხაროდ გაცნობის შემდეგ, მხოლოდ [illegible] ხელ მქონდა შემთხვევა მენახა [illegible] ლამი და რამოდენიმე საათს, სხვა[illegible] მორის, მასთანაც მესაუბრნა სხვა [illegible] სხვა საკითხზე. მხოლოდ ერთის გამოსაუბრებით ძალიან ძვირათ დაუტოვებია ჩემს არსებაში ისეთი წმიდა ადამიანური გრძნობით გამთბარი, გულის სიღრმიდან ძნელად ამოსაშლელი მძლავრი შთაბეჭდილება, როგორიც ვარლამმა დასტოვა ჩემში!..

და ამ სტრიქონების ქაღალდზე გადმოტანა იმ კვნესისა და ოხვრის გამოძახილია, რომელიც აღმოხდება ხოლმე გულის სიღრმიდან და გასავალ გზას ითხოულობს არა შემთხვევით გაცნობილ ადამიანის ზღვასავით სავსე სიცოცხლის ველურათ მოსპობის გაგონებაზე, არამედ ხანგრძლივი გულითადი მეგობრის ვერაგულად განგმირვის თავზარდამცემ ამბის მოსმენის ულმობელ წამებში. ასეთი მიმზიდველი სულიერი ძაფების გაბმა შეუძლიან მხოლოდ და მარტო იმ პიროვნებას, რომელიც მაღალ-ადამიანური თვისებებით და ღირსებებით არის აღჭურვილი. ამიტომ ჩემთვის ცხადი და ნათელია, რომ გარეგნობით ახოვანი ვარლამ საყვარელიძე, სულით ფაქიზი, გულით უხვი, მიხანშეწონილ ცხოვრების მოტრფიალე, მოყვასთათვის თავდადებულ, მთელის თავისის არსებით ნამდვილ ქართველ ადამიანს წარმოადგენდა. ჩამოთვლილი თვისებები და ღირსებანი მას განასხვავებდა ზოგიერთ მთელ ჯგუფ ადამიანებისაგან. ამაშია ვარლამის ინდივიდუალობა—და ამ ინდივიდუალობის სიძლიერე, მისი სიმტკიცე...

ძნელი ასატანია, ჩემთვის უცნობ 38 ქართველ ინტელიგენტებთან ერთად ავაზაკურათ სიცოცხლის მოსპობა იმ ჯანღონითა და სამოქმედო ენერგიით აღსავსე ვარლამ საყვარელიძესი, რომელიც თანამემამულეებთან ერთად სამშობლო მხარეში მიეჩქარებოდა, რათა მის გაჭირვების ჟამს დახმარება აღმოეჩინა მშობელი ერისთვის, საკუთარი წვლილი შეეტანა მის კეთილდღეობისათვის საკუთარის შრომით თავდაცვის საერთო საქმეში.

სიკვდილი ბევრნაირია: საკუთარი სამშობლოს საზღვრების დაცვის დროს, რომ მტრის ტყვიას მოესპო ხსენებულ 38 ქართველ ინტელიგენტებთან ერთად ვარლამის სიცოცხლეც, მაშინ, ჩვენ ოხვრას, ჩვენს მწუხარებას სხვანაირი ელფერი ექნებოდა. მაგრამ, როდესაც გაშმაგებულ—გახელიგანებულ არმიის „ბოლშევიკ" რუსთა ბარბაროსობა იქამდე მიდის, რომ უდანაშაულოდ გვიხვრეტს ჩვენს მგზავრ თანამოძმეებს და მათ სხეულს ისე ასახიჩრებენ, რომ მათი ერთი-მეორისაგან გამოცნობა ყოვლად შეუძლებელი გამხდარა,—ეს ისეთი სიმხეცე, სიველურე, იოტის ოდნავათ ადამიანური ღირსების არ შერჩენა და ტირანიაა, რომელიც მთელ ზღვა უმანკო სისხლის ღვრის მოთხრობების ამტანსა და შეჩვეულ კაცობრიობის ისტორიის ფურცლებსაც შეაძრწუნებს, უმწვერვალესი სიველურეთ მოეჩვენება!

სირცხვილი იმ ხალხს, რომლის წიაღიდან წამოიჭრნენ მელიე საჯეკუნეში, თვით ამ განმთავისუფლებელ რევოლიუციის ხანაში ადამიანური ფიზიონომია დაკარგული, სულით ბოროტი კაცუნები, რომელთა ბარბაროსულ საქციელს ვერავითარი ჰუმანიური სულისკვეთებით და ზრახვებით აღტყინებული მართლმსაჯული ვერ გაამართლებს!..

ცულუ თოფურიძე.

სია დაჭრილთა და მოკლულთა ბათომის ბრძოლის დროს

რედაქციამ დაავალა ამხანაგებს დაჭრილ-დახოცილთა შესახებ ცნობების შეგროვება; სიას თანდათან გამოვაქვეყნებთ. ჯერ-ჯერობით ამხანაგ ი. გოგოლაშვილმა მოგვაწოდა შემდეგი ცნობები „ცხენოსანთა მესამე პოლკი თავგამოდებით იბრძოდა; ისინი იდგნენ ქარიოხისაკენ, როდესაც მტერმა ბათომს გზა გადაუჭრა მახინჯაურთან. ცხენოსნები შეეცადნენ ჯარის გარღვევას, მაგრამ გვიანღა იყო. ჯარის გარღვევის დროს ასეთია ზარალი.

დაჭრილი არიან:

კორნეტი ლომინაძე მძიმეთაა დაჭრილი ფეხში (ფეხს მოსჭრიან), კორნეტი გელოვანი (მუცელში), კორნეტი მაჩაბელი (მსუბუქად თავში), ჯარისკაცნი: კ. ალავიძე, მე-3 ესკადრონის, გიორგაძე მე-3 ესკადრონის, დგებუაძე მე 2 ესკადრონის, შეთანოვი მე-2 ესკადრონის, წერეთელი მე-2 ესკადრონის, რომანიშვილი მე-2 ესკადრონის.

მოკლულია:

ჯარისკაცნი: ჯაფარიძე მე-3 ესკადრონის, გოგოძე მე-3 ესკადრონის, ხუნდაძე მე-3 ესკადრონის, პაპია მე-4 ესკადრონის, ჩხარტიშვი მე-4 ესკადრონის, ხაინდრავა მე-4 ესკადრონის.

გარდა ამისა ბევრია უკვალოდ დაკარგული.

ოფიცრებმა გამოიჩინეს საოცარი სიმამაცე და თავ განწირულებით ყველა შემთხვევაში მაგალითს აძლევდნენ ჯარისკაცთ. განსაკუთრებით თავი ისახელეს შტ.-როტ. ლლონტმა, შენგელიამ, დადიანმა, ყარანგოზიშვილმა, მიქელაძემ, ბერიძემ და ლომინაძემ.

—

ფორტ ანარიაზე გმირულად დაიღუპა სახელოვანი მამულიშვილი კაპიტანი შავგულიძე. მასთან დაიღუპა სამოცამდე კაცი ამ ფორტის დამცველი, რომელნიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ თავი გასწირეს, მაგრამ მტერს, დიდი ზარალი მიაყენეს. დიდი სიმამაცე გამოიჩინეს და ბოლომდე ფორტებზე იდგნენ გენერალი ართმელაძე, მისი შტაბის უფროსი გედევანიშვილი, პოლკის უფროსები: გელოვანი, ვაშაკიძე და მიქაშავიძე. დიდი გმირობა გამოიჩინა კაპ. ცაგურიას ბატარეიამ და ფორტ სტეფანოვკაზე მდგომმა 25 ახალგაზრდამ ტრაპიზონის სოც.-ფედერალისტების რაზმმა. ესენი 3 საათამდე განაგრძობდნენ ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ ბათომის სხვა ფორტები და ქალაქი ოსმალებმა 12 საათზე აიღეს; ყველანი უვნებლად გადარჩნენ. განსაკუთრებით გმირობა გამოიჩინა კაპ. ცაგურიამ, რომ[illegible] ბატარეიამ სრული წესრიგით დაიხია ქალაქ[illegible] იქ შტაბთან შეგროვილიყვნენ ჯარისკაცნი და მთელი აფიცრობა. გამოჩნდა მშვენიერი მწყობრად მომავალი ცაგურიას ცხენოსანი სამთო ბატარეია ზარბაზნები და მთელი საომარი მასალით. ჯარისკაცნი ქვეითად მიდიოდნენ მათი მოსვლა ნამდვილი სამგლოვიარო პროცესია იყო. სულყველა აქვითინდა, როდესაც ეს „პროცესია" დაინახა. ვერ წარმოიდგინათ თუ ასეთი სოდომის დროს ასეთი სამხედრო ნაწილი გვეყოლებოდა. ჯარისკაცნი ტირილით ეთხოვებოდნენ ზარბაზნებს, რომელნიც ვერთიან გაეფუჭებინათ. ცაგურიას მიწის ფერი ედო, ჯავრით ცახცახებდა:—ბრაზობდა „არ მაცნობეს დროზე, თორემ ასე სამარცხვინოდ ტყვედ როგორ ჩაუვარდებოდიო". როგორც იქნა დაიმშვიდეს. აქვე ახლოს ოსმალთა დელეგატმა პოლკოვნიკმა გამოიარა ჩვენ დელეგატებთან ერთად, რომელმაც სთხოვა ცაგურიას იარაღი აეყარა რადგან მალე ოსმალთა ჯარი შემოვა და რამე ინციდენტი არ მოხდესო. მაგრამ „სიზმარი როგორ მიმეცა მაგასო" შეჰყვირა თურმე ცაგურიამ და კინაღამ ხანჯლით არ გამოლადრა. მასვე სთხოვეს ოსმალოებმა შეესწორებია ზარბაზნები, მაგრამ ისეთი ზიზღით უთხრა „სამშობლოს მოღალატე თქვენ ერში მოიძებნებაო", მალე განებეს თავი და შემდეგ აღარ გაუბედნიათ განმეორება.

დატყვევებულია შალვა შავგულიძისა და, ილია ხარაძის მიერ დასაფლავებული არიან ხარაძე აბესალომ შავგულიძე სიმონ, ვანიძე დავით, პორუჩიკი დოლიძე ყველანი ესენი მოკლულნი არიან ფორტზე ანარიაზე.

სრულიად საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირის წევრთა კრება

კვირას, 8 აპრილს, 1918 წ. შესდგა კრება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში ქართველ მოსამსახურეთა კრება.

კრებას თავმჯდომარეობს ბ. სპ.რ. ბაქრაძე, მდივნის თანამდებობას ასრულებს კრების დავალებით სვიმონ ღვთისავრიშვილი.

ეს კრება იყო გაგრძელება 1 აპრილის დამფუძნებელი კრებისა, სადაც უკვე მოსმენილი იყო სიტყვა ვალ. ბაქრაძისა შესახებ კავშირებისა და კერძოდ საქართველოს შესახებ, რომლის შემდეგმაც კრებამ მიიღო ყველა ის დებულებანი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო მომავალი კავშირი. დანარჩენი საკითხები, ესე იგი წესდების განხილვა და საბჭოს არჩევა გადადებული იყო 8 აპრილისათვის.

ამ დღეს, გარდა ამ ორი საკითხისა, კომისიის წევრებმა მოულოდნელად დღის წესრიგში შეიტანეს ახალი საკითხი შესახებ მომენტისა, ვინაიდან ამ დღეებში ფრიად შეცვლილი იყო საერთო პოლიტიკური ატმოსფერა და ამ გარემოებისათვის უნდოდათ მათ გაეწიათ შესაფერი ანგარიში.

კრებამ ერთხმად სიამოვნებით მიიღო ეს ახალი საკითხი. წესდების განხილვას დიდი დრო არ წაუღია, ვინაიდან კრებამ გამოსთქვა სურვილი მისი შემუშავება—შელამაზება მიენდოს საბჭოს და შემდეგ კიდეც მომავალ საბჭოს არჩევას. ასარჩევი იყო 30 კაცი, მაგრამ გადასწყვიტეს აირჩიონ ამ კრებაზე მხოლოდ 10—12, დანარჩენის არჩევა კი შემდეგისთვის გადაიდო. არჩეულ იქმნენ საბჭოს წევრებად შემდეგი პირნი: ივანე დიმიტრის ძე აბხაზი, სპირიდონ იოსების ძე ბაქრაძე, პლატონ ივანეს ძე გვერდწითელი, სოლომონ ვახტანგის ძე მაჩაბელი, გიორგი ქაიხოსროს ძე ჯაფარიძე, მათე არონის ძე იანქოშვილი, ვალერიან დავითის ძე ბაქრაძე, ალექსანდრე ზაალის ძე წერეთელი, ვიაჩესლავ ნესტორის ძე ალშიბაია, პავლე ესტატეს ძე ცინცაძე და სვიმონ სვიმონის ძე ღვთისავარიშვილი.

ამის შემდეგ თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას ებაასოთ დასმულ საკითხზე შესახებ მომენტისა. კრებამ მოითხოვა მომხსენებელი. სიტყვა ეძლევა კომისიის წევრს ვალ. ბაქრაძეს, რომელიც ამცნობს კრებას, რომ ამ ფრიად საინტერესო საკითხის შესახებ, როგორც ახლად წამოყენებულს, კომისიას არავითარი წინასწარ მომზადებული მოხსენება არა აქვს. სამაგიეროდ გამოსთქვამს იმედს, რომ დღევანდელი კრება ზედ მიწევნით გამოარკვევს ამ საკითხს და გამოიტანს შესაფერ რეზოლიუციას.

თავის მხრივ ვალ. ბაქრაძე შინაარსიანი სიტყვით უთვალისწინებს საზოგადოებას ეხლანდელ მდგომარეობას და კერძოდ საქართველოს განსაცდელს. აღნიშნავს რომ ის გზა და პოლიტიკა, რომელსაც ადგას ჩვენი მთავრობა, შემცდარი გზაა და მოითხოვს იმ გვარ პოლიტიკის წარმოებას, რომლის წყალობითაც საქართველო დაღუპისგან ხსნის გზას დაადგება, ორატორი სთხოვს კრებას გამოიტანოს რეზოლიუცია — საქართველოს მთლიანობის შესანახელად და საერთოდ არსებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად— ეროვნულ საბჭოს სახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვისა.

კრება ბაქრაძეს სიტყვას და წინადადებას ტაშით მიეგება.

ასეთივე აღტაცებული ტაშით იყო მოსმენილი ვრცელი და დაკვირვებულ დასაბუთებული სიტყვა ორთა ნასიძესი ამავე საგანზე სჯა-ბაასში მიიღეს მონაწილეობა: ალშიბაიამ, სარაჯიშვილმა, ტატიშვილმა, ზედგინიძემ, აბაშიძემ, ომანიძემ, ვაჩნაძემ და სხ. თითქმის ყველა ორატორები, გარდა ომანიძისა და ვაჩნაძისა, ერთხმად მოითხოვდნენ საქართველოს მთლიანობა-დამოუკიდებლობას და მის აღორძინებას. ომანიძე კი, რომლის სიტყვამ ცოტა დისონანსი შეიტანა საერთო აღფრთოვანებაში, და ცხარე კამათი გამოიწვია ამ საკითხს სჭვრეტდა უფრო ვიწრო პარტიული თვალსაზრისით მხოლოდ იგი და ბ. ვაჩნაძე იყვნენ წინააღმდეგნი ზემო აღნიშნულ საერთო გამოთქმულ სურვილისა. ამის შემდეგ ვალ. ბაქრაძემ წარუდგინა კრებას იქვე შემუშავებული ვრცელი რეზოლიუცია (ეს რეზოლიუცია ცალკე ყველა გაზეთებში იყო დაბეჭდილი).

კრება (გარდა ორის მოწინააღმდ. და ორის თავშეკ.) ამ რეზოლიუციას ტაშით მიეგება, მიიღო და დაადგინა საჩქაროდ გადაეცეს იგი სეიმის თავმჯდომარეს, მთავრობის თავმჯდომარეს და ეროვნულ საბჭოს.

სწორედ ამ დროს იყო სხდომა ეროვნულ საბჭოსი, სადაც სწყდებოდა ბედი ამიერ კავკასიის შესახებ დამოუკიდებლობისა და სწორედ ამ ისტორიულ სხდომის დროს, როცა იხსნებოდა გორდიას ნასკვი, გადაეცა ზემოხსენებული დადგენილება (რეზოლიუცია) ქართველ მოხელეებისა მათი წარმომადგენლების ხელით ეროვნულ საბჭოს და სეიმის მთავრობის თავმჯდომარეებს.

P. S. სხვა ქართველ გაზეთებს ვსთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდონ.

გამგეობის [illegible]
ხაზინადარი [illegible]
[illegible] კომიტეტისა

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ექიმი
ა. ლ. შალამბერიძე
იღებს საშვილოსნოს და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს საღამოსაგრძელეთ ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს. დღე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] 5—11. 1030

ქ. კაბკაზში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, ტ უბანი. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7, 2180

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ვ. ყუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
შ. წინამძღვრიშვილი
[illegible] უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და ხიხხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ზონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახვლისის ქ. № 11. 426

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხეილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მამნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ნ. აგახარიანი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ბ. გ. ზარზუდაროვი: 1—2 ს. ქალების და საზებიო ავადმყ.
ბ. მ. ხუნიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთ:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 101

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

„სახალხო საქმი"-ს რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	5 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
გრდემლი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	— 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაზმადიანო საქართველო".	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი".	— 50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".